

ლიტერატურული გაზეთი

№16(200) 1 - 14 სექტემბერი 2017

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი





სოსო მეშველიანი

უცნაური მსმენელი



უცნაური ქალაქია ბილბაო — რალაც-ნაირი, ოღრო-ჩოღრო ქუჩებით. ახლა სადაც ვმუშაობ, ის კორპუსი ფერდობში შეჭრილ ადგილას შენდება, მეთოთხმეტე სართულის წინა აივანი მთელ ძველ ქალაქს ზემოდან გადაჰყურებს, ხოლო უკანა ერთი დამრეცი ქუჩის ქვემოთ არის. დგახარ მეთოთხმეტე სართულის აივანზე და მანქანები შენს ზემოთ დადიან. სამუშაო ბლომად მაქვს, თუმცა მარტო ექვს საათამდე შემოდია მუშაობა, პარასკევს კიდევ ხუთამდე. აქაურებისთვის ეს ნორმალურია, მაგრამ როცა სახლში გაქცევავხარ ხარ, გინდა, მეტი გააკეთო, მეტი გამოიმუშაო, რომ დროზე წახვიდე. ამას წინათ გადავწყვიტე, შაბათობით შევპარულიყავი და მემუშავა (მეტრო-კვადრატზე ვმუშაობ). უპრობლემოდ შევედი. მაღლა აივანზე რალაცას ვუკირკიტებდი, იქვე ძველი სახლის აივანიდან (სულ ერთი ხელის განვდენაზე) მოხუცი ქალი გამოვიდა, მომესალმა, მკითხა — დღესაც მუშაობ? თავი დაუქნიე, გავუღიმე. „აღბათ მარტო ხარ, ხმაური რომ არ არის“ — თქვა და შებრუნდა. საჭმელზე არ მიზრუნია, ვიფიქრე, შუადღემდე ვიმუშავებ და სახლში ვისადილებ-მეთქი, მაგრამ ბევრ ხანს შევრჩი. ჭამა არც გამხსენებია, სანამ კაფე-ბარებიდან წამოსულმა სუნმა არ დამახვია თავბრუ. ისე მომშივდა, სასწრაფოდ დავინყე გამოცვლა. იქვე, ახლოდან, რალაც ძახილის მაგვარი ხმა მომესმა, გაბმული. „სენიორ... სენიორ! ეი, ჩიკო...“ გავიხედე, ის ბებოა, მე მეტახის, ხელში ერთჯერად თეფშზე „ტორტილიის“ ორი დიდი ნაჭერი უდევს და მანვდის. ისე მეუხერხულა და დავიბენი, ვერც უარი ვუთხარი, ვერც მადლობა გადავუხადე წესიერად. შემოვედი, ჩამოვჯექი და დავინყე ჭამა. უცებ, არ ვიცი, რა ჯანდაბა მეტაკა, ისე ამიჩუყდა გული, ლუკმებს და ცრემლებს ერთდროულად ვყლაპავდი.

ერთი გაუთხოვარი დეიდა მყავდა, საოცრად თბილი და ნათელი ქალი, დისპვილების და ძმისშვილების მთელი არმიის გამზრდელი (დებისაც). ჩვენ ხომ თავისთავად, მაგრამ სხვა ბავშვებსაც ისე უყვარდათ, ხშირად ვეჭვიანობდით კიდევ. ტანჯვა-წამება გამოვლილი ქალი იყო, ობლობაში გაზრდილი, რალაცნაირი, თავისებური წარმოდგენა ჰქონდა ყველაფერზე. მასსოვს, როგორ არიგებდა ახალგაზრდა დიასახლისებს: „ფევილით საცხე ბელლის თვალში ფევილის ალებას რომ დააპირებთ, შუაში კი არ უნდა ჩაართყათ ჯამი, ასე ფევილი დაფრთხება და მალე დაილევა, ნაპირიდან უნდა აიღოთ ფრთხილად და მეტხანს რჩება...“ სულ თვალწინ მიდგას, თვითონ როგორ იღებდა, ხელის რალაცნაირი, ნაზი მოძრაობით, როგორ ეფერებოდა ფევილს. ესეც ერთგვარი რიტუალი იყო.



არ გაჩენილა ამქვეყნად ჩემზე თავისუფლების მოყვარული ადამიანი და რა დიდი გამოცდა მომიწყო ცხოვრებამ, როცა ისეთ მკაცრ და ჩემთვის დამაბნეველ გარემოში მომიწია გაზრდა, სადაც, მშობლებს ხომ თავისთავად, ასევე, ბიძია-მამიდა-დეიდებს, მაგრამ შენზე 4-5 წლით უფროსსაც უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდი, რაც უნდა გამოთავყვანებული ყოფილიყო. მორიდებული და მორცხვი ბავშვი ვიყავი, ასე პირდაპირ შენინააღმდეგება მერიდებოდა, საკუთარი მეთოდებით ვცდილობდი დავპირისპირებოდი. ამიტომ მათთვის ძალიან უცხო და უცნაური ვინმე ვიყავი. მაგალითად, ჩემი თანატოლები ერთმანეთს ჩასჩურჩულებდნენ და ქირქილებდნენ, რატომ ვუყურებდი ვთქვათ ტარკოვსკის „ნოსტალგიას“, როცა სხვა არხზე სტალინეს ფილმი გადიოდა. ბიძაჩემს შეიძლება იმაზე ეკამათა, რატომ ვუსმენდი კლასიკურ მუსიკას, რა გამეგებოდა, რას ვსულელობდი, რა სიმფონია, რისი შუბერტი. მასწავლებლებს ნიჭიერი, მაგრამ წიგნის მოძულე ბავშვი ვეგონე — „რად უნდა ამას წიგნი, ძალა ერჩის, თოხი და ბარი მიეცი და გაუშვი ყანაში“. ამ დროს მამაჩემი სულ პირიქით ფიქრობდა, მე კი არც კითხვა მაკლდა, არც შრომა და ეს ყველაფერი მესმოდა და ვხვდებოდი, როგორ თანდათან მინადგურდებოდა და მემუშებოდა ფსიქიკა. ერთი-ორჯერ ახლო მდებარე ტყეშიც ვაქცეულვარ, რომ მეღრილა და გული არ გამსკდომოდა. მერე, სადაც წავიდი, სულ თან მდევდა ეს ყველაფერი, საშინელი აჩრდილივით. პირველად აქ რომ ჩამოვედი, ისეთი სიტუაცია დამხვდა, საერთოდ შემძულდა ფულის შოვნაც და მუშაობაც, მაგრამ ბოლოს მაინც ყველას ჩავაქნეინე ხელი, ყველა გამერიდა, დავრჩი მათთვის აუღებელ ქაჯეთის ციხედ, სადაც მისტიურ ნისლში გახვეული, შორი, მიუნვდომელი.

შვილები არ ჰყავდათ. იმ (ცოტა იდეალური) ქალის ხმის ექოები ახლაც გაკრთება ხოლმე ხსოვნის ორნოხებში. მასსოვს, სოფლის თავში, ვინრო, ნისქვილებიანი ხევის ბოლოში, ერთი მწვანე ბორცვი იყო, ალაგ ანწლით, ალაგ კი ადრის ტკილსურნელოვანი ბუჩქებით დაფარული. იქ ჩამოჯდებოდა ხოლმე მზის ჩასვლისას და გამოგნებლად მაღალი, თითქმის აკვილებული ხმით ეხმინებოდა შორს, ხევის გადაღმა, საძოვრებში ნახირზე ნასულ გლეხებს. იმის გარკვევას ცდილობდა, მისას თუ გადანყდომიან სადმე. ისინი, ცხადია, ხმას არ სცემდნენ, ზოგს არ ესმოდა, ზოგი კიდევ მიჩვეული იყო მის ასეთ ქაქანს. შემდეგ თავად უხმოდა, თავის „რჩეულ“ ბეხრეკებს... „ლამროოოოოოო აააააა“, „ბონდოროოოოოო აააააა“ და აი, გაქრა ეს ხმა სამუდამოდ და გაქრა სიცოცხლე ამ სახლში.

P.S. ისე ცხოვრებაში არაფერი მთრგუნავს, როგორც სიცოცხლეჩამქრალი სახლები.

არის რალაც ტკობის ნუთუბი-ლექსის ზეპირად წერაში — როცა რალაც კარგს აგნებ და კაი ხანი ამნიფებ გონებაში, ისეთი განცდა გაქვს, თითქოს სისხლიც თაფლივით ტკებება. მერე, როცა ფურცელზე გადაგაქვს, ალბური ყვავილის ქოთანში გადაწერგვას ჰგავს; მერე კიდევ ფისბუქზე დადება — იმ ქოთნის ხალხით საცხე, მოყაყანე ბაზარში დაღმას, უკვე რომ თითქოს არც ფერი აქვს შერჩენილი და არც სურნელი.

ძალიან მძიმე წასაკითხია, ახლა რასაც ვწერ, გულის გამგლეჯი, მაგრამ ძალიან ნამდვილი. ეს ყველაზე ცხოველი განცდაა, რაც კი განმიცდია ამ ქვეყნად. მოკლედ, სამუშაოდან წამოსული სახლთან, სკვერში, ჩამოვჯექი სიგარეტის მოსანეცად (სიარულისას ვერ ვწვნივ). მოპირდაპირედ ხანში შესული ცოლ-ქმარი იჯდა. იქვე კარგად მოვლილი, ჩასუქებული ბებერი ძალღი ინვა. ძალიან ცხელოდა, ენაგამოგდეული ძალღი მძიმედ სუნთქავდა, ამ სუნთქვის ხმამ რალაც უსაშინლესი განცდა დამიტოვა. იმ წუთას ვერანაირად ვერ მივხვდი, რატომ. წამოვდექი, გავერიდე, რალაც ისე დამანვა, ისე დამიმძიმა სხეული, ნაბიჯებს ძლივს ვდგამდი. სახლში შესულს უცებ ტორნადოსავით დამატყავდა და გამიტაცა საშინელმა მოგონებამ — 23 წლის წინ მომხდარმა ამბავმა. არადა, კარგი უნდა ყოფილიყო ის აპრილის თექვსმეტი — ვეება, ბებერი, ტოტებხავსიანი და ფითრით დაფარული აყვავებული მსხლელებით, მთელი სოფლის გაყოლებაზე ყანებში გაშლილი ნაკელის მძაფრი სუნით, აყვავებული ხეხილის სურნელს რომ ნთქავდა. შუა სოფელში მამიდაჩემის სახლი იდგა, სადაც მთელი სოფლის ახალგაზრდობა შეყრილიყო. ერთ დიდ ოთახში ყველა თავდახრილი იდგა. იმ შემზარავ, საშინელი სურნელი მძოლოდ ოცდაათი წლის ბიჭის მძიმე სუნთქვა ისმოდა, რომელიც სულს ლაფავდა. ეს ხმა ისე კუმშავდა ოთახის სივრცეს, თითქოს დრო ანაკონდასავით გეხვეოდა და გიჭერდა ტანზე. და აი, ის გაბმული „შშუუ... შშუუუ... შშუუ... შშუუ...“ და მორჩა, გათავდა, შეწყდა. უფროსებმა ერთი გადახედეს ერთმანეთს, მერე ერთმა თვალები დაუხუჭა. უცებ ყველა გასკდა — ის ხმები, კვილი, ღრიალი, მოთქმა ყველა მხრიდან, მიცვალებულის ძმის არამინიერმა გმინვამ გადაფარა. არ ვიცი, იქნებ მომეჩვენა, რომ მიცვალებულმა თვალები გაახილა — წლების მერე ძმამ მითხრა, მეც მეგონა მომეჩვენა და აქამდე არ მითქვამსო...

მოკლედ, ამას წინ ისე ვიხეტილა ამ ჩვენს სანახებში, მოვინახულე ასე მონატრებული ადგილები, სადაც მთელი ჩემი ყმანვილკაცობა გავატარე. მზის ჩასვლისას შინ რომ ვბრუნდებოდი სოფლის იმ მხრიდან, სადაც ამოსასვლელი ერთი ვინრო ხევი, მანამდე კიდევ ხშირი, ბნელი თხმელნარი, გარშემო ისე იყო ყველაფერი გასუსული, მთელ გზაზე ხარაბუხების ბზუილი მესმოდა. არადა, რა ხარაბუხების ბზუილი, არც ისე დიდი ხნის წინ, ზუსტად ამ დროზე, ზუსტად ამ ადგილებში, თითქმის ყოველდღე, აქ ისეთი ხმაური და ალიაქოთი იდგა, იმ ყურთასმენა წამლები, ათასნაირი ხმებით გაბრუებულს ღამე დაძინება მიჭირდა. საღამოხანს გლეხები აქ უყრიდნენ თავს ყველა მხრიდან ჩამორეკილ პირუტყვს, იყო შეძახილები, ხარების ერთმანეთის გამომწვევი ღმუილი, წვრილფეხა საქონლის ზმუილი, ქმენა. სადაც ძაღლები ყეფდნენ ან ჩხუბობდნენ, გლეხები მთელ ხმაზე უმისამართოდ „ორი აბშშ“-ს გაჰყვიროდნენ, ან ერთმანეთს გასძახოდნენ, სადაც ნაჯახების კაკუნიც ისმოდა, ერთი სიტყვით, დულდა სიცოცხლე აქ. ახლა კი... მოდიხარ და მთელ გზაზე ხარაბუხების ბზუილი გესმის.



მრუდე იყო ნუთისოფელი

მრუდე იყო ნუთისოფელი. მრუდე ხელი ჰქონდა, მრუდე თვალი, მრუდე კისერი. მრუდედ მიიხვევდა ნაფხურებს კაბის კალთებზე. ქვასანაყივით აცლიდა ქერქს, ნუთებს და წამებს. მიიმღვრეოდა, მიედინებოდა ღელე-ღუღივებზე. ზოგი ადამიანი ლხინში იდგა კოჭებამდე, ზოგი — ჭირში მუხლამდე, ზოგს ავი ნელამდე სწვდებოდა, ზოგს სიკეთე — ყელამდე, მაგრამ მაინც იდგნენ და ითმენდნენ, რა უნდა ექნათ?! ჭირსაც მოთმენა უნდა და ლხინსაც, ორივე ერთი ფეხისაა, ერთი სიმძიმისაა ხანდახან.

ოცი წლისა ითხოვეს, ითხოვეს და გაჰყვა თუთია. ქორწინებას სიყვარული რად უნდაო დიდდომ, ქორწინებას გარბევა და მორიგება უხდებო, შვილო, მერე მოთმინება და ერთგულებაო, დაარიგა. მორიგდნენ და ქორწინების სეფაც გაშალეს. იდგა პატარა, მწყერჩიტა ქალი, თავს დაჰყურებდა ზაქივით კაცი. იმ ღამეს ვარსკვლავები შეიძრნენ და ჩაცვივდნენ ხევში, ნახევარმთვარე — მთვარის დანარჩენიც, და თუთიას გულშიც მიიღვივნენ, მინავლდნენ და მიმქრქალდნენ. მას შემდეგ თუთიას თავისი ქმრისა რატომღაც ეშინოდა, ფანჯრიდან თუ შინ მომავალს დაინახავდა, კაცი რომ ჭიშკარს შემოსწინდა და აღმართ ეზოს ამოუყვებოდა, ტანზე ეკალს აყრიდა. მოდიოდა ზაქივით კაცი და გეგონებოდა, თანდათან დიდდებოდა, დიდდებოდა, სახლზე მალაღობა ხდებოდა, ხეებზე მალაღობა, გეგონებოდა, მიწიდან ამოდებოდა და ამოდებოდა. კარის ზღურბლზე უკვე კოჭებამდე სწვდებოდა თუთია. ქალიც შიშითა და რიდით შეჰყურებდა, ეკალასხმული. მეორე დილას სამუშაოდ წავიდოდა კაცი და ყველაფერს თავისი ზომა და ფორმა უბრუნდებოდა თუთიას თვალში. დრო გადიოდა. შვილი არა და არ ეძლეოდათ. ერთ დღესაც ჩვრებში გახვეული ჩვილი მოუყვანა ქმარმა თუთიას, როგორც შენს ნაშიერს ისე მიჰხედავო. თუთიაც უყურებდა. მზე ცისვარდივით უღვივოდა გულში. ბედკეთილობდა თუთიას ჟამიც. ჩვილი „აღუ“-ს ეძახდა, ყრმა — „დედა“-ს, ყმანვილი — „დედი“-ს, ბიჭი — „დე...“-ს და სადღაც შეწყდა თუთიას ნაზარდი შვილის ხმაც. მამამისს გაჰყვა რკალბადეთი თევზის საჭერად და სახლში მარტო მიწისფერი კაცი დაბრუნდა. თუთიას არაფერი გაუგონია. იმ ამბის შემდეგ თითქმის ათი წელი იყო გასული, რომ თუთია ყოველ ცისმარე გამოდიოდა ჭიშკარში და გამვლელსა და გამოვლელს ეკითხებოდა თავისი ბიჭის ამბავს, დაკარგულისა ხო არა იცით რაო. ყოველ დღე პატარავებობდა და პატარავდებოდა, ლამის მღიღს ემსგავსებოდა, ვეღარც გამვლელები ამჩნევდნენ უკვე და ვეღარც გამოვლელები. აღარც ესმოდათ იმისი ხმანვრილია. მრუდე იყო ნუთისოფელი. მრუდე ხელი ჰქონდა, მრუდე თვალი, მრუდე კისერი და ალბათ იმიტომ.

ორნი

ალბათი შეუმჩნევლად უნდა ცხოვრობდე ადამიანი, როგორც გაზაფხულზე ფანჯრიდან დანახული შუშტყემლების ყვავილობა. თვალსა და ხელს შუა რომ დაიკვირტება, დაიყვავილებს, მერე გახედავ და უკვე მურმურით ჩაუვლია კიდევ გაზაფხულს, გადაჰყოლია კიდევ დროს. ვინ იცის, სად. მქრქალად უნდა აჩნდეს შენი ნაფხურებიც მიწას ხელისგულზე. ადამიანი მოგყვებოდა, გხედავდეს და ვერცა გხედავდეს, უჩუმარი უნდა გქონდეს სუნთქვაცა და კვნესაც. მას შემდეგ, რაც ყველანი ბარში გადასახლდნენ, მარტო დარჩა იმ სოფელში გვრიტა თავისი უშვილო ცოლის საფლავით, ორი სული დეკეულითა და კუდა ძაღლით. მისი სახლის მოპირდაპირე მხარეს, მთის ფერდობზე, გაღმა სოფელშიც ერთი ნაყვავილარი სახის ჩოფურა კაცი ცხოვრობდა — იქნებოდა სამოცდაათიოდე წლისა.

დილანდელზე მიიტანდა გვრიტა ხელს პირთან და მთელი ხმით გადასძახებდა: — ე-ჰე-ჰე-ი-ი, ჩოფურაო! დილანდელზე მოიჩრდილადა ჩოფურა ხელს და მთელი ძალით უპასუხებდა: — ჰო-ჰო-ჰო-ი-ი, გვრიტაო!

ნინო ქადაგიძე

ცერცვისტოლა ამბები



სულ ეგ იყო მაგათი ხმინობა, მაგათი საუბარი.

ხანდახან გადაიცვამდნენ კიდევც მურასა ტანისამოსს, ან ერთი და ან მეორე. ან ერთი გადავიდოდა გადაღმა, ან მეორე გადმოვიდოდა გადაღმა. გასტყენდნენ მურასა პურს, მურასა ქაღებს, შესვამდნენ მურასა ღვინოს, დაილოცებოდნენ, ამოისუნთქავდნენ, ჩაისუნთქავდნენ და ან ერთი გაუყვებოდა მერე რაცრაციით თავისი სახლისაკენ ბილიკს, ან — მეორე. ასე იყო გვიან შემოდგომამდე. სანამ თოვლეთში არ ჩაიკარგებოდა ხოლმე იმათი სახლ-მიდამო. ზამთარში კი დრო დგებოდა, თითქოს ჟამი აღარ მიმდინარეობდა, ბანარა, გრძელი, ჟამიშუამო ღამეები იდგა და იდგა.

ხან ერთი ჩაანობდა ხარჩოში ხმელ პურს, ხან მეორე მოლოდინდა ძაღლაპურას. ერთმანეთისასაც ლამფის სინათლით ხედებოდნენ, თუ ლამფა ენთო, ცოცხალი იყო... თუ არა და... ვაი, და ლამფა არ დაენთო?!

ალბათ შეუმჩნევლად უნდა ცხოვრობდე ადამიანი, უჩუმრობდე. ჰგავდე გაზაფხულზე ფანჯრიდან დანახული შუშტყემლების ყვავილობას. თვალსა და ხელს შუა რომ დაიკვირტება, დაიყვავილებს, მერე გახედავ და უკვე მურმურით ჩაუვლია კიდევ გაზაფხულს, გადაჰყოლია კიდევ დროს, ვინ იცის, სად. მქრქალად უნდა აჩნდეს შენი ნაფხურებიც მიწას ხელისგულზე. ადამიანი მოგყვებოდა, გხედავდეს და ვერცა გხედავდეს, ყური უნდა გქონდეს სუნთქვაცა და კვნესაც.

დარდაკი*

სულში ნალველი არ უნდა ჩაგენვეთოს, თორემ დაიარავდებიო. იმიტომაც იწვა მთელი ზაფხული შავთხილა ვაზის ძირში და არხინად უსტვენდა. დიდი დარდაყრილი კაცი, დარდადარდადარდა, დიდი დარდაკი. ჩაანობდა წვნიან ჯამში კარგა მოზრდილ ყუას და მიაძლებოდა ძაღლაპურას ტუჩების ტკაპუნით. არსაით არავინ არა ჰყავდა, არც მომკითხავი, არც გამკითხავი. არსაფიქრალს არ ფიქრობდა, არსათმენს არ ითმენდა, იწვა მთელი ზაფხული შავთხილა ვაზის ძირში და არხინად უსტვენდა.

— კაცოო, რა მლაშე ხვართქლასავით შემოხვევიხარ ვაზის ღეროს, ადე, გაიარგამოიარე, დაკუტკაცდები — გადასძახებდა ხოლმე დროდადრო მეზობელი, მაგრამ უსმენარას რას გაავგონებდა, — ჰე, გველშაპოო, ადექ, გახმა ვაზი შენი ზედ გდებთაო...

არა, დარდაკი გადაბრუნდებოდა და შეაქცევდა ზურგს მანუხებელს.

სანამ თბილი ამინდები იყო, სანამ მინა სიცივეს აკრეფდა, მანამდე ვაზის ძირში იწვა. გრილ და სუსხიან ამინდებში კედელყურესთან, დიქტის ნაგლეჯზე, ფირფიცარზე მიეგდებოდა. შევიდოდა ისევ მეზობელი, გადმოუქოთებდა ძველმანებით პირსავსე უჯრას, ამოაძვრენდა დედამისის ან დის ნაქონ ბამბაზის კაბა-კუბას

ფიცარ-დიქტზე დასაგებად, დარდაკი გამოსტაცებდა ხელიდან, ჩაიკრავდა გულში ტანსაცმელს და ისევ არხინად უსტვენდა.

ხუთი ქათამი ჰყავდა ქვეყანაზე, ისინიც ზაფხულობით ეზოს ძირში ძუძუმთაყვალას თუ გაკენკავდნენ, ზამთარში კედელყურეს ეფარებოდნენ მასავით. რით ასულდგმულედა დარდაკი არავინ იცის, ქათმები კი ცოცხლობდნენ.

ბავშვები რომ მიადგებოდნენ მის ღობეს და ქვების სროლას დაუწყებდნენ, არც მათ უფებდა ყურს დარდაკი, უსტვენდა და უსტვენდა. ალაღეს ქვრივი თუ გამოვარდებოდა ბრახუნზე და გალაღავდა ბავშვებს მისი ღობიდან:

— დაეხსენით, თავისი სატკივარი ეყოფა.

ალაღეს ქვრივი ჭირისუფლობდა დარდაკს. მამა ადრე გარდაცვლია საწყალს. პატრონობდა დედასა და დას პატარა ბიჭი. დედაც დარდის მდინარემ წაიღო წლისთავზე, დარჩენილან ორნი, და და ძმა. რამდენიმე წლის შემდეგ და სკოლიდან აღარ დაბრუნებულა. სად აღარ უძებნიათ, მერე ძმა გადაჰყრია სოფლის ბოლოს, ნასახლარების იქეთ, ხეზე ჩამომხრჩვალს. გამოქცეულა სახლში, აი, იმ შავთხილა ვაზის ძირში ჩაკეცილა და ნება-ნება უფხოკნია მინა გარშემო. რა აღარა თქვეს: ვინც უყვარდა, იმან არ ნაიყვანა და იმიტომ გაშვებდა და დაბნეულა ეგ საბრალოო! არაო, იმიტომ არ ნაიყვანაო, რომ ესაო!.. არაო, იმიტომ არ ნაიყვანაო, რომ ისაო!..

აკი, სულში ნალველი არ უნდა ჩაგენვეთოს, თორემ დაიარავდებიო?! იმის შემდეგ იწვა დარდაკი შავთხილა ვაზის ძირში და არხინად უსტვენდა.

— შვილო, ნევხარ, ნევხარ, რაღას უსტვენ? — ერთხელ ტირილით უკითხავს ალაღეს ქვრივს დარდაკისთვის.

— მარტოობას ვაფრთხობ და იმისათვის...

იქნება და თავად მარტოობა აფრთხობს დარდაკს და იმიტომაც ხმინობს.

*დარდაკი — შტერი, სულელი.

„აინონე“

მელორე იყო „აინონე“, ღორების მწყემსი. მთელი დღე ნეზვების, ნაზარდა ბურვავებისა და გოჭების ღრუტუნ-ჭყვიტინი ისმოდა მისი ეზო-კარიდან. მიერეკებოდა ღორების კოლტს მურყინანის ჭალაში და თითქოს კუდიდან ქონი გაუდიოდა თითოეულს ბალახზე.

— „აინონე“, მოდი, ხორცი ამინონე!

— „აინონე“, გექნება გადამდნარი მუცლის ქონი და ამინონე!

— „აინონე“, ჯაგარი...

— „აინონე“, ღორის ტყავი...

— „აინონე“, ნახევარი კილო ნივრიანი სალა ამინონე...

„აინონე“ ღორის ძვლისგანაც კი ძვლის ფქვილსა ფქვავდა. დღე და ღამ კისერზე სასწორი ეკიდა და წონდა. აინონეც იმიტომ შეარქვეს.

მარტო ღორები კი არა ჰყავდა, კეთილი გულიცა ჰქონდა „აინონეს“. მამადგებოდა ქვრივი ბაბუცა ჯამითა და კოვზით ხელში რაცრაციო; ობოლი შვილისშვილისთვის მუცლის ქონს მოსთხოვდა. გადმოიღებდა „აინონე“ სამონყალო ქილას, ამოგლესავდა კოვზით ქონს და თითო ჩაასრიალებდა ჯამში — მონყალებას კი იძლეოდა, მაგრამ იმასაც აუცილებლად წონდა. განა უძირო იყო ქილა, ან „აინონეს“ მონყალება?! მარტის ერთ ჟინულთან დღესაც გაუთავდა ორივე. გამოვარდა საკუჭნაოდან და დაჰკვილა ბაბუცას:

— დამეხსენ ერთი, ბაბუცა, რას მომადგები ხოლმე ყოველ ავლა-ჩავლაზე, განა ქონის მდინარე დამიდის?!

გაბრუნდა გამტკნარებული დედაკაცი და იმის მერე აღარც მისულა „აინონესთან“. არა და სნებიანი შვილიშვილი ჰყავდა, ხშირად ავადმყოფობდა ფილტვების ანთებით და ქონი მალამოსავით ედებოდა მის ჯანს. იავადა ბავშვმა, იავადა და „აინონეს“ მონყალებასავით გათავდა.

შეიტყო თუ არა „აინონემ“ ქვრივი ბაბუცას უბედურება, დაიბლუნდა, დაიდრეკა, დაიბლვირა და ჩათხრობილი გახდა.

— მამი, ნამო, კაცო, სალაფავი მოუღულე ღორებს, დანყდნენ მშვივრები, — შარვლის ტოტებზე ექაჩებოდნენ ხუთიშვიდი წლის შვილები.

„აინონემ“ დაიხმო ყური ყველასთვის. ერთ ხანს სახლში ჩაიკეტა, მერე გულზე სასწორდაკიდებული გამოვიდა გარეთ და სწონდა ყველაფერს რასაც მოიხელთებდა: კენჭს, ფოთოლს, ყვავილს, ნამჯას, ერთ მუჭა მინას, ღორა ქლიავსა და ძირნაყარ თუთას. დადიოდა გარე-გარე.

— მელორე გაგიფადა, — გამოიტყინა.

ხშირად იდგა სასწორით ხელში ბაბუცას შვილიშვილის საფლაეთანაც. მიაკითხავდა ცოლი, მოხვევდა მკლავს და ნელა-ნელა, შენგენაცვალეობით ნაიყვანდა სახლისკენ.

ერთხელ კედელუჭრიან საყდრის კარს მიყრდნობდა მელორე „აინონე“ და ქვითქვითებდა — ყველაფერი ავრონე სააქაოში რაც იწონება, ღმერთო, მაგრამ ადამიანის სული ნეტა რამდენს იწონის, რას იწონის კაცის სული მაცოდინაო.


ის დღე საყდრის კარზე გაატარა „აინონემ“. მიმწუნისპირას სოფელი მისმა ღრიალმა წამოაფთა. ფეხებს კისერზე ირტყამდა „აინონე“, ისე გარბოდა სოფლის გზაზე და ყვიროდა:

— ავრონე, ავრონე... კაცის სული ავრონე, ვიცი, რას იწონის ადამიანის სული, ჰე, ჰე, „აინონე“ ტყუილად კი არ შემარქვით! — ცეკვავდა, ხტოდა, ყვიროდა...

გზაზე გამოფენილია გულგახეთქილმა ხალხმა ხელი ჩაიქნია და ისევ თავიანთ სახლებს მიაშურა. არც მოუსმინეს, არც აინტერესებდათ, არც ჰკითხეს „აინონეს“, რას იწონიდა ადამიანის სული.

იქნებ სინანულის ერთი წვეთი ცრემლი ადამიანის სულის წონა, იქნებ მონანული ადამიანის ერთი წვეთი ცრემლი ადამიანის სულის ტოლია?! აბა, მე რა ვიცი, მელორე „აინონემ“ აწონა და ალბათ იმან ჩემზე უკეთ იცის...

VI





ოდა

თუ შევძლებ, მინდა მოგწერო ოდა,
როგორც მწვერვალი მძაფრი ლირიკის.
როცა შრიალით ჩაივლის მოდა,
პოდიუმების ვინრო ბილიკით.

წეროს ქარავანს წაჰყვება ოდა,
ცას დააჩნდება სტრიქონის კვალი,
თუ სიცხიანი პოეტი ბოდავს
და ირეკლება ლამაზი ქალი.

და თუ ცხოვრებამ გაასწრო გაზელს,
ერთი სტრიქონიც რომ დარჩეს მხოლოდ,
მე წეროებით მოვანერ ცაზე
ჩემს ცოდვილ სახელს
სტრიქონის ბოლოს.

...თოკი კანკალებს,
თოკზე კანკელობს
გადაფენილი მწკრივი ზენრების,
რომ ქათქათებდეს თეთრი საყელო,
როცა ზენრების წირვას ესწრები.

და შორით მოჩანს ლურჯი ცის კიდე
და თეთრეული, —
შირმა სადაფის...
ის კი შენს პერანგს წურავს და კიდეებს,
რომ გააშოროს ლაქა სარდაფის.

გაფენილია თოკზე ანონსი
და მაუწყებლობს ზეცაზე TV...
განახლებული ტანისამოსით, —
დღესასწაულის აპერეტივით.

ის თავს ჩამოდებს შენ მკლავის რელსზე,
თუ აჰყვა პერანგს კვალი პომადის
და თეთრ აფრებად გაფენილ ლექსებს
ნაპირთან ერთად კარგავს ხომალდი.

შემოაბრუნეთ ხომალდი თეთრი!
დაყრილი ფრთებით განიცდი სივრცეს...
და უქნევ ხომალდს
თეთრ ცილინდრს ფეტრის
და იალქანად ახალ ლექსს მისცემ.

რადგან სიყრმიდან თეთრსა ფერს ეტრფი,
სიყრმიდან გულიც ქართულად გიცემს.

დაკარგავ ფრთებს და ვისკით ცხებულ
ნახვალ. ის ნახავს სადმე კაფეში
და გაფენს, როგორც ლექსის კრებულის
პრეზენტაციის ახალ აფიშას.

შრება პერანგი და H₂O
წვეთავს... ჩანს ქალი ლექსით ნაქები,
და ისმის ლოცვა:
— შენ აშორეო,
ახალ პერანგზე ძველი ლაქები.

და შეგავედრებს ზეცის ანგელოზს,
თუ მაინც შეგხვდა გზაზე ვერაგი,
რომ ქათქათებდეს
თეთრი საყელო,
როგორც ჯვარცმაზე თეთრი პერანგი.

და გჯერა, როცა ილიმის ევა,
რომ საზეიმო წირვას ესწრები...
და მის სუნთქვაზე ინყებენ რხევას
პირველ თოვლივით თეთრი ზენრები.

შიშობს, თეთრისკენ ლაქა მოელტვის
და ისმის ლამით მისი ვედრება,
თუ ჰყვება შენზე,
როგორც ყოველთვის,
არის ნაჯღაბნის გადათეთრება.

ათასწლეული გაკრთება უცებ,
წამით სამყარო თვალწინ ჩაივლის,
რომ მიადგები ეტლით იმ ფურცელს,
წიგნში ჩანმწულს
მინდვრის ყვავილით.

როცა იდაღგომ გახედა მალლობს
და დულსინეა ტობოსში იშვა,
...ტობოსო, — დაბა ტოლედის ახლოს,
...ხოლო დულსე კი
სინაზეს ნიშნავს.

ის გაიღიმებს, როგორც პირიმზე
და ფრთებს შეგასხამს თეთრი ზენრების,
რომ ვერ ჩასაფრდნენ ვინრო ბილიკზე
კაცისმკვლელები
და გარენრები.

...დილას ყავა და შაქრის ნატეხი.
მერე ქუჩაში გახვალ მოვლილი,
ის კი გაუძლებს დროის ქარტეხილს,
ლექსის მწვერვალზე
თეთრი თოვლივით.

— ლეხანი

— ლეხაიმ, ხაიმ!
— ხაიმ, ლეხაიმ!
მუდამ რბევა და ძებნა საშველის...
სიკვდილის ბანაკს ერქვა „დახაუ“
და კედელს ეცხო სისხლი ქაშერის.

ქუსლი ქუსლზე და მჭახე
— ზიგ ჰაილ!
და წინ, სივრცეში გაჩრილი ხელი,
ძველი ალთქმიდან მოვა მიხაილ,
რომ დაგვიამოს ჭრილობა ძველი.

კითხვა და ზედვე გინება ჯიშის,
— ვის გადაარჩენ? მოკლედ, ხანა ან
სარა! — ბავშვების თვალეში შიში,
ო, რა შორს იყავ მაშინ, ქანაან.

და ეცხო კედელს სისხლი ქაშერის
და გრძობდი ალთქმულ მინის სიშორეს.
მე კი ამ ლექსში მისთვის დავშვერი,
რომ თვალზე ცრემლი ვერ მოვიშორე.

იყო შეეკვთა:
— უფრო სასტიკად!
ჯილდოვდებოდა უსასტიკესი
და სამკლაურზე ჩანდა სვასტიკა,
სვასტიკათაგან უსვასტიკესი.

ანტისემიტის ვაქცინით აცრის
ბელადი მასებს, ხობტად მამულის,
ეპოქა იყო ხან უფრო მკაცრი,
ხან ცოტა ვეგე-ტარი-ანული.

კითხვა და ზედვე გინება ჯიშის,
— ვის ირჩევ? მოკლედ, გვითხარ, ხანა ან

სარა! — ბავშვების თვალეში შიში,
...რა შორს იყავი მაშინ, ქანაან.

ჯობით ჰურია შემოდგა ბექობს
და ეგვიპტელებს დაუდგა შოუ,
მერე არმსტრონგის გაისმა ექო:
— Let my people go!

სად დაიკარგა თეთრი ბატკანი
და ვარსკვლავების ცაზე თარეში,
მონყდება ალბათ ერთი მათგანი
და შეცურდება იორდანეში.

იკითხავს მწყემსი:
ცაზე ის რა ელ-
ვარებს, ან რისი არის ნიშანი?
გზა უდაბნოზე გადის, ისრაელ,
ზემით ცაა და ქვემოთ ქვიშანი.

მისწვდა უდაბნოს წყალი და თოხი
და ზეითუნის მოჩანს ნაყოფი,
ახლა სცენიდან ქადაგებს ჯობი, —
წითელი წყალის ორად გამყოფი.

ალთქმულ მინისკენ მიგყავართ შოსეს,
გზადაგზა ვნრუპავ ქაშერის ღვინოს,
სადირიფორო პულტთან დგას მოსე:
— მცნება პირველი,
ლა ბემოლ მინორ!

დინება

კოტე ჯანდიერს

რადგან დინებამ ასე ინება, —
დაბლობში ცხრება
ფაფარი რაშის,
მერე დინების ინყებ გინებას,
რადგან ცხოვრებას ამთავრებ ზღვაში.

ვერ უბრუნდები სათავეს უკან,
მაშველი რგოლი, —
ლექსის კრებული...
მიაგნებ კუნძულს, სახელად დუქანს
და სულს მოითქვამ წყალნაღებული.

ელადა

პოეტს აცოცხლებს ელადის სუნთქვა,
ხოლო ელადას ხსოვნა პოეტის.
ეს სიყვარული, ცალმხრივი მუდამ,
ასე ცალმხრივი რჩება ყოველთვის.

უცდის პოეტი ზღვასთან ელადას,
მაგრამ ელადას უყვარს ბელადი...
და როცა იგრძნობს, თუ ვინ ელოდა,
მზე ჩადის ზღვაში
სხივით ვერადით.

მაგრამ ამ ტრფობის
ანი და ჰოე
მენიუში ერთად ჩაურთავს მიმტანს,
როდესაც სიტყვა მოწყდება პოეტს...
როცა პოეტი მოწყდება სიტყვას...

თითქოს ხომ ელო მაზანდა გროშის,
ხან არც მოჩანდა გაცვეთილ გროშად,
ეს სიყვარული ამცდარი დროში
ფრიალებს, როგორც გუმბათის დროშა.

ბოჰემა

ეს ხეტიალი კარგა ხანს გასტანს,
ამღვრეულია ფიქრი და განცდა...
საძინებელის შეაღებ კარს და
მას უღალატებ
თავადვე მასთან.

ეპროვა

ეს იყო ადრე. ნაცნობი პადრე.
ქადილი გრაფის, —
შამპანის ქაფი.
...ენაცვლებიან კადრები კადრებს
და ქაფზე სწრაფად ორთქლდება გრაფი.
რჩება კედელი და ავტოგრაფი,
სამუზეუმო სიჩუმით სავეს,
ექსპოზიცია დაეძებს გრაფინს
და განცხადებით მიმართავს გაზეთს.
გრამოფონებით გრაფომანის
ძველ საგრაფოდან მონვდენილ ექოს
არღვევს პოეტი, —
პრინცი დანიის,
ბედად გრაალის თასი რომ ერგო.
და საიდუმლო ეძლევა გრიფი

ნაპოვნ გრაფინს და შევსებულ გრაფას,
და თასის ნაცვლად,
მომინევს რიგი,
გრაფის გრაფინით ჩავარტყამ გრაპას.

და სიჩუმეზე როგორც რევანში
ქველ სასახლეში უკვე Real-ი
მოჩანს ფუჟერი ნატიფ მტევანში,
ისმის ფუჟერში ჭაღის წკრიალი.

სპარსულ ფიცარზე როგორც დუ-შაში
ნაპერნკალივით ანთებს დუენდეს,
აქ, ვენეციურ ფერად შუშაში
ამაღლება ჩანს,
ჯვარცმას თუ ენდე.

და პედესტალი უფრო დიადი
არ არის ქვეყნად,
ვიდრე ჯვარია,
შელამებაა თუ განთიადი
ცად ამალღების ისმის არია.

და თუმცა რომმა მცნება ათივე
სოდომ-გომორში ბევრჯერ არია,
დრო მოვა, მაინც გაამარტივებს
მალარიაა, თუ მალერია.

...როცა ევროპა ჯვაროსნის ხმალით
საფლავის ქვაზე გვარის გერბს ჭრიდა,
შეიცნო მაშინ
ხორცი და ძვალთ, —
ყველაზე უკეთ ხალხი ჩანს ჯვრიდან.

და სისხლისმღვრელი ომების ორომ-
ტრიალში ნათლის მიაგნო დვრიტას
და აკაპელა იმღერა ქორომ:
— ყველაზე უკეთ ხალხი ჩანს ჯვრიდან.

და ახლა უკვე
ევროპამ იცის,
დემოკრატია რომ არის სისტე-
მა და მონყობა თუ უნდა სივრცის,
ბიულეტენში არ ეძებს ქრისტეს.


...და საარჩევნო დავიდარაბა:
— კმაყოფილი ხართ შედეგით, მისტერ?
ევროპა მუდამ ირჩევს ბარაბას
და თავს ავედრებს ტაძარში ქრისტეს.

ევროპა უძღვებს ნარდენას და ვულკანს,
თვალის რომ მოჰკრა
ნალეკილს თქემით,
მას შეუძლია გაცოცხლდეს უცბად,
ერთი ნანგრევის ერთ მოსახვევში...

სადაც სიცოცხლის ფარფატებს საშვი, —
პეპელას ფრთები,
უკვდავ ფორმულით:
— მორბის ნაშალზე ფეხშევილი ბავშვი
და თითზე ძაფით მზე აქვს მობმული.

სამოქალაქო ომი

ქირურგი დასცქერს გამჭოლ იარას:
— შემდეგი!
— მიდი, ისუნთქე, ყოჩაღ.
...ბარიკადიდან მოძმე კი არა,
ბარიკადიდან სამიზნე მოჩანს.



მედია ზაალიშვილი

ღედას

როგორ გაბმულა ხეებში მთვარე,
ეს რა უეცრად დაღამებულა,
ხელიდან როგორ გამომეცალე,
ჩემო ერთგულო, ზამთრის ბელურავ.

მეც უხმოდ ნავალ...

ყაზბეგის მთიდან მოდის ღრუბელი
და უერთდება ჩემს დაღლილ მზერას,
ამოუესიათ ხეებს უბენი
ნისლით და ველარ დამცხრალან ჯვრაც.
მდუმარედ ვუმზერ მორკალულ წარბებს
და დიდრონ თვალებს მოცქერალთ
მწყრალად,
დამშვიდდი, მალე ღრუბლები წავლენ
და მათთან ერთად მეც უხმოდ ნავალ.

შინ დაბრუნება

კიბეზე ასვლისას
ვითვლი წამებს...
კიბეზე ამოდიან ფიქრებიც.
დღითიდლე მძიმდება ჩანთა
ერთიდაიგივე წიგნებით.
დღითიდლე მალდება კიბე,
გული ვით აიტანს ამდენს...
ნუ წუხარ, ნუ წუხარ, ნუ წუხარ,
სულ ცოტა დარჩა ცამდე...

ქასპრომტად თქმული

გული გაგტეხიათ, ჩემო მეგობარო,
ასე კი არ ვარგა,
აი, მე შარშან ჩემს ბაღში ვარდები ჩავყარე,
მაგრამ, ყველამ არ ივარდა.
ასეა, ძვირფასო,
თუ ერთხელ დამარცხდი,
ნუ იხდით სიცოცხლის პარაკლისს,
აი, მე მომავალ
წელს ახალ ვარდს დავრგავ
და ამით შევავსებ დანაკლისს.

გადვიარე ცვარნამიან
ვარსკვლავების დიდი ხიდი,
მერე ის გზა გამოზრწყინდა,
შენს ქობთან რომ ახლოს მიდის,
იქ, ინახად მჯდარი გნახე,
ქარვის კრიალოსანს თვლიდი,
...
დაგინახე... და დაემშვიდდი.

იზას, შინს მიჰვარს

სამხრეთის ქარი ქრის,
ჩემო სულო,
ერიდე სამხრეთის ქარს
მონაბერს უდაბნოთ,
მოაქვს სიმხურვალე შორეულ ქვიშის,
ცხელია სუნთქვა მისი,
მძაფრია სუნთქვა მისი,
მე მომეფარე...
ჩემს ჩრდილს მოეფარე,
ლერნამო ჩემო.

სიმწიფის ხანა

დამწიფდა... ტოტები დამძიმდა, დამძიმდა,
არავინ მოსწყვიტა და ცრემლი დასცვივდა,
ქარმა გაიტაცა, ანამა, დაფლითა
და გული ეტკინა ქვეყნის სიმდაბლითა;
...
დამწიფდა... ტოტები დამძიმდა, დამძიმდა,
არავინ მოსწყვიტა და ცრემლი დასცვივდა.

რას მეტყვი, ღმერთო! აღარ გვაუნწყებ,
რაზე გალობენ სამოთხეში ლურჯი ჩიტები?!
სიმარტოვეში სინანული არ არის უცხო,
ვლონდები... ვჭკნები... და... ვიფიტები.

აღმართზე ასვლა, ლოდების ცვენა
და დაკარგული სალ კლდეებზე სუსტი წვივები,
ამ სიმაღლესთან მე, ცეროდენა,
ნელა, წვეთ-წვეთად დავინრიტები.
ცად ნავა სული და ვინმეს ნისლად
მოეჩვენება უსასრულო მისი ტივტივი,
არვის უნახავს სამარე ჩიტის,
მეც მინდა წასვლა უხმოდ — ჩიტივით.

„მეგობრები დროის ქურდები არიან“.
ინგლისური ანდაზა

სადა ხართ, ჩემო მეგობრებო, დროის
ქურდებო,
სევდა მეხვევა ღრუბლის ქულეზად,
ჩემს ირგვლივ თითქოს წყვლიადა,
ნათელი არ ჩანს,
მოდით, წაიღეთ, მეგობრებო,
რაც კი დრო დამრჩა.



სოსო მეშველიანი

უცნაური მსგენელი

ვაჟა-ფშაველა იყო და დარჩება ჩემს უსაყვარლეს მწერლად და პოეტად. ბავშვობაში, როცა პირველად წავიკითხე „ამოდის, ნათდება“, ზუსტად ისეთივე ზამთრის ღამე იყო ჩემს სოფელში, მკაცრი, იდუმალი. ვკითხულობდი და რაც იქ ეწერა, ის ამბავი თითქოს იმ წუთას ხდებოდა ჩემი სოფლის ახლო-მახლო ტყეში. გულს მიკლავდა მგლების დაუნდობლობა. მაშინ რა ვიცოდი, თუ ადამიანები არანაკლებ სასტიკები იქნებოდნენ — რამდენ დროს და ენერჯის ხარჯავენ იმაში, სისულელეების გამო როგორ ავნონ და მოშხამონ ერთმანეთი და, რატომღაც, ასე უფრო იოლად გამოსდით ცხოვრება.

რომ გგონია, თითქოს სრულიად უცხო გარემოში ხარ და ამავე დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძობ რაღაც ძალიან ნაცნობს, ძალიან ახლობელს, არადა ვერ იპოვებ რას, ან არ გცალია გასაზრებლად, ან ამის თავი არ გაქვს, და უცებ ხვდები, რომ აქაური მოხუცები ძალიან გვანან ჩვენსას — მათ, ვინც მინახავს, ვისაც ჩვენთან შევხვედრივარ. რა თქმა უნდა, ჩვენები ასეთი მოვლილები არ არიან, კაი ხანი ვერც იქნებიან, მაგრამ მაინც, რაღაც-ნაირად ძალიან გვანან, ვინ არ მახსენდება მათ შემყურეს. აი, ბარში ბერიკაცი შემოდის, ლამის ავხტე და წამოვიყვირო, ისე ჰგავს ალიოშა ბაბუას (ბაბუაჩემის ძმას) ლურჯი, ცოცხალი თვალებით, თეთრი პრილა სახით, ნაკეთებით, სიარულითაც კი. მაშინვეს, ასე გაცოცხლებული რომ ვუყურებ, მიღმის, მესალმება, ერთ ჭიქა ნითელ ღვინოს იღებს და კუთხეში ჯდება. ეგ კიდევ არაფერი, ალიოშა ბაბუა რომ გამახსენა... წამის მეთათვის შემოვირბინე მთელი ჩვენი სათიბები, ახლები, საძოვრები... მაინც რა კარგია სიცოცხლე, თუნდაც ძალღური...

ბილბაოს გარეუბანში ერთი ტავერნაა, ყოველთვის ვაკითხავ ხოლმე, როცა იქით მიწევს გავლა. ძალიან პოეტური გარემოა, მიუხედავად იმისა, რომ პოეტის გარდა ვის არ ნახავ მანდ. ტავერნის წინ დაბალი თუთების პატარა ხეივანია დიდი მოედნის მხარეს. ეს თუთები ისე მრგვალად არის გასხლული, გაკრეჭილი და ისეთ წვრილ საძირეზეა, შორიდან ჰქარში ანული (დაკიდებული) ბუჩქები გეგონება. თუთებზე ვაზივით ჩემთვის უცხო ყვავილია გასული, ყურძნის დიდი მტევნებით რომ კიდა, ყურძნის მტევნების ზუსტი ფორმის, ლიალურჯი ფერის, თავბრუდამხვევად სურნელოვანი, მაგრამ ამ ყველაფერს მაშინ

იგრძობ, თუ მუშაობის საათებში შეივლი, როცა აქა-იქ კანტი-კუნტად არის ხალხი. სხვა დროს კი, დასვენების დღეებში ან ფიესტებზე, ისეთი აურზაური, ყაყანი და ჯგლეთა... ეგ კიდევ არაფერი, აი, ერთმანეთში არეული სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების სუნი კი საერთოდ ასამარებს ამ, ასე რომ ვთქვათ „რომანტიზმს“. ტყეებში ხეტილით გასავათებულმა შევიარე ერთ დღეს, ფორთოხლის წვენი შევუკვეთე, თუმცა ბარმენმა ჩემი დანახვისთანავე ლუდის ჭიქა მოიმარჯვა, რადგან მანამდე სულ ლუდს ვუკვეთავდი. ორი ხამონიანი „პინჩო“ გადავიღე თეფშზე და კუთხეში მივიყუყუე. ხალხი ცოტა იყო, მოშორებით პლასტმასის მაგიდასთან მჯდარ შუახანს გადაცილებულ კაცს მივაშტერდი; არა იმიტომ, რომ მთელი სხეული უცახცახებდა და შავი ღვინით სანახევროდ ავსებულ მაღალ ფუფერში სანრუპი ჩაედოთ, რადგან ერთიანად აკანკალებული ხელებით შეუძლებელი იყო, შეესვა (თავსაც ისე აქანავებდა აქეთ-იქეთ, პირს ძლივს ახვედრებდა სანრუპს, ტანჯვა იყო მისი ყურება), არამედ თითქოს საიდანლაც მეცნობოდა. მომეჩვენა, რომ ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა. დავფიქრდი და გამეცინა, საიდან უნდა მცნობოდა?! ალბათ აქ ვხვდავდი ხოლმე და დამამახსოვრდა. აკი, თავადაც მომამტერდა, თან, თითქოს მიღიმოდა კიდევ. თავი დაუქნიე, მივესალმე, ძალიან გაუხარდა. შევატყვე, რაღაცნაირად გამოცოცხლდა, ანრიალდა. „მაგარი ჩაბრატებულებით კი ვესალმებით ერთმანეთს“ — გავიფიქრე. სანყალი, ნეტავ ვინ არის? ვინ უვლის?

გავიდა რამდენიმე თვე. ცხადია, ეს ამბავი არ მახსოვდა, მეორე დღესვე დამავიწყდა. ერთ დღეს ზუანხოს ვკითხე (ჩვენი ემპრესის „პრარაბს“) უფრო დროის გასაყვანად, არც ისე მაინტერესებდა, თუ სად წავიდნენ ის ჩვენი ნაცნობი მუშები, ადრე რომ ამ ემპრესაში მუშაობდნენ. მანქანით ვმგზავრობდით ერთად, ისიც თითქოს ელოდა ამ შეკითხვას — ჩაერთო, მარა რა ჩაერთო. თან ისე საუბრობს, თითქოს ცხელი კარტოფილი აქვს პირში — ჩათუტქული სიტყვებით. ვინაჲ. ის რას შემატყობს, ისეთ აზარტში შესული — ის რუმინელი ბიჭები, ისე-ასეო, ის მეორე ზუანხო იქაო, გორკა და ოსკარი საერთოდ სხვა ხელობაზე მუშაობენო, სალვას კიდევ... მე კი არ ვუსმენ უკვე, ფანჯარაში ვიხედები, სოფლებს და ყანებს გაყურებ, მაგრამ სალვაზე შევცბი, უცებ რაღაცამ დამკრა თავში:

- რა თქვი, სალვას რა დამმართაო?
- ჰააა, კარგად გახსოვს ხო სალვა?..
- იცინის.
- როგორ არ მახსოვს, თითქმის ნახევარი წელი ერთად ვმუშაობდით ვიტორიაში, ყოველ დღე ერთად ვიყავით.
- პარკინსონით არის დაავადებული...

ნინო ქადაგიძე

ცერცვისტოლა ამბები

ჭინჭრისღაღა

ღარაქვს ხოლმე სევდის ბარტყებს ზამთარი. მერე მიტოვებულ, გამოკეტილ სახლს ემგავსება ადამიანის სული, სევდის ქსელებით გაბმულ-გახლართულს. განა კი წელიწადის სხვა დროს არ გეზღობება ვაება კაცს, მაგრამ ზამთრის დარდი მაინც სხვანაირად გიჟამკარებს ხოლმე, გირევეს ფიქრს, გუნებას.

შებინდებულზე შენვა ლოგინში. ჩაქრო ნათურა, მხოლოდ შუშის ღუმელიდან გამომავალი ცეცხლის ნათება ასხივადებდა ოთახს. გულზე დაიდო გარდაცვლილი შვილის სურათი და როდის-როდის ჩაიძინა. იმ ღამეს მკვდარი შვილი დაესიზმრა: „მომასვენე, დედი, წელამდე ცრემლში ვდგავარო!..“ გამთენიისას წამოდგა, შვილის ფოტოსურათი ქმრის ფოტოსურათის გვერდით დაკიდა კედელზე, მარცხენა კუთხეში, გულის მხარეს ორთავეს აკოცა და თავისივე ნაქარგი ხელმანდილი გადააფარა ჩარჩოებს ზემოდან, არ დაიმტვეროსო. თავი შეიკავა, როგორმე ცრემლი არ ჩამომიგორდეს კიდევო და ერთი დაიღონა — ეეჰ, მე საპირმიწეო!

იყო ძვალზეტყავადაკრული, დაჭმუჭნული, მჩატე, მუხლებაკანკალებული და ჯანგალეული, სახეჩამოქნილი, სანთელივით დედაკაცი. წელში მოხრილი, შეყუჟული ძაძა-კაბაში. მოხუცთან ერთად დოლაბივით გაცვეთილიყო მისი დროც.

იმ წელს უფრო გრძელი იქნებოდა ზამთარი. თვალწყლიანი გაჭყურებდა ფანჯრიდან ფარო-ფარო, ფარტენა ფანტელებს, როგორ ეცემებოდნენ სადღეოდლო კაბად მის ეზო-კარს, ბოსლის თავს, ბილიკს... გაახსენდა თავისი პატარძლობა, თავისი ქორწილიც, თავისი თანხმობაც. გვიან შემოდგომის ერთ დღეს გზის პირას შეხვდა თავის საფიცარს. გაუბედვად დაუქნია თავი, გამოგყვებო. ქალიც მტკნარი იყო იმ დღით და ცაც. მაშინაც ფარო-ფარო, ფარტენა ფანტელები ათოვდათ თავზე. კაცმა რომ ყვავილი ვედარსად მოიხელთა, გზის პირებზე დათოვნილი, ბლუჯა, მნიფეყვავილიანი ჭინჭრისდედები გაუნდა საცოლეს, ქალმა სიყვარულით შეხედა და გამოართვა. ფრთხილად თეთრი ყვავილები მოაცალა და თმაში ჩაიბნია, მწვანე ფოთლებიანი ღეროები ხელში დაიკავა. შინ მისულეს დიდი ღვინო დახვდათ, ეს იყო კაცის ნიშნობაცა და ქორწილიც. ეს ჭინჭრისდედა იყო ქალის ყვავილიცა და თეთრი კაბაც. იმის შემდეგ გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე თვალმახარებდა ექცენ ქალს ჭინჭრისდედები. გავიდოდა ეზოს ბოლოში, ან ბაღის პირას დაკრეფდა და წყლიან ჭიქაში ჩაინყობდა ხოლმე სალვინებლად. წლების შემდეგ, შვილისა და ქმრის საფლავის ღობის ძირებშიც ამოიბინდნენ, უკვე მოხუცი დედაკაცი ხელს არ აკარებდა, ვერ იმეტებდა საგლეჯად. ავიდოდა სასაფლაოზე მძიმე-მძიმედ, დაჭყურებდა ქმრისა და შვილის საფლავებსა და თან წყინდა, თან რაღაცა უხაროდა მოხუც ჭინჭრისდედას.

ციცია

ციცია ციციანთელების შუქზეც მოჩანდა. ადრე თვითონაც ანათებდა ამ

ღამურასავით წუთისოფელს. ჭუჭრუ-ტანიდან ბნელში შემოტანილი ათამაშებული სინათლის სხივი იყო. დადიოდა და ციალებდა მინაზე, დადიოდა და ვარდის ფურცლის მტვერსა ჰყრიდა, ხან ცვარმარგალიტებს აწნევდა...

- ატლასკანიანო ბროლის ნაყოფო...
- აყვავებული ნუშის ტოტების მზევ და მნათობიერო...
- გოგოვ, ბაღის ოხრახუმის რძით ნაზარდო...

— შე ჩონგურყელიანო, ლალისფერავ, იაგუნდების ბროშკავ, ნანინეტარებავ, — და ათას სხვა რამეს იგონებდა ბებია მოსაფერებლად. ეგ ადრე, ბავშვობაში.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ კი, ერთი წლის თავზე, ჩიტვით გამოფრთხილდა, გამომორდა ქმრისიანებს და მამისეულ სახლში დაიწყო ცხოვრება. აუტანელი იყო მათთვის უშვილო ქვრივის შენახვა და აღარც უთხოვიათ დაბრუნება. ციციამ წელი ძლივს აითრია, გახსნა მარტოობა მოტანებული ოთახები, კარები, დარბაზები... აივნიდან გადმოფინა ფოჩიანი ხალიჩები, სულ სევდის ბღღვირი ადინა, დაბერტყა, დაამზეურა. ზედ სადაფისფერი ცრემლი აფრქვია მამაპაპისეულ სამოსახლოს. მერე სარკის წინ ჩამოუჯდა საკუთარ თავს და გაუღიმა.

მაგ დროს უკვე ათას რამეს ამბობდნენ მეზობლები — ეგ მიწადასაყრელი, ფინთი, ბოზი, იმნაირი, ძეძვი ყვავილი, ძეძვიფრიალა, თახსირი, გასალახანებულო, ყმანვილების გამრყენელი, ემბაკის დედაკაცი, ალი, ალი, სახემოთხუპნული, გადაპრანჭული. თვალებში არ ჩახედო, შვილო, ტვინს აგირევეს, დაგატყვევებსო, რა გამოვიდა ეგ ეგეთი, ეგ ტყვიამოსახვედრიო.

ამის გამგონე ციციას ალიაბალია ნითელი რუმინა აგურისფრით შეეცვალა, ნითელი ტუჩსაცხი — ვარდისფერი. დადიოდა და დააფრიალებდა დარბაზს, კრეპდემინის კაბას, დააკონიალებდა ვერცხლის საყურეს. ჩაივლიდა და გააყოლებდნენ თვალს, ამოვივლიდა და გამოაყოლებდნენ — ციციავ, ცელქო, ცელქო, ანცო, შუშპარავ, დაუდგომელო, ერთი მაკოცინეო... ან კიდევ — ციციავ, დაგენვას თეძო-გავა, დაგენვას ყურის ბიბილოზე ხალიო... ციცია ვის უსმენდა? უნდოდა, აივლიდა, უნდოდა, ჩაივლიდა, უნდოდა, სახეგაპრანჭული ფანჯრის რაფაზე შემოსკუპდებოდა — კრეპდემინის ნითელი ხალათითა და ნითელი მანიკურის წასმას დაინყებდა ფრჩხილებზე.

— ციციავ, ქოთნის ყვავილო, ნითელყვავილებიანო ბაღავ, რას შემომჯდარხარ ფანჯრის რაფაზე?! — აედრახებოდნენ ქვემოდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ციციას ნამოქმედარი არავის. მოკლედ, ციცია და მთელი ქვეყანა, ციცია და მთელი უბანი...

ერთ საღამოს ქუჩის ბოლოს, თეთრ ეკლესიაში დავინახე. აღარც რუმინა ესვა და აღაც ტუჩსაცხი. ყურის ბიბილოზე ხალიც ხილაბანდით დაეფარა. ხელში ოთხადგაკეცილი ფურცელი ეკავა, ღვთისმშობლის ხატს ვერცხლის პერანგის უბეში უდებდა და თან ნამტირალევი რაღაცას უჩურჩულებდა. ციციავ?! არ არის ციციავ?! მხედველობა დაეძაბე და დავინახე ჩაბნელებულ ეკლესიაში, აციმციმებული სანთლების შუქზე, ისევ ის ძველი ციცია მოჩანდა...





დათა ბადალაშვილი

ნამსახი

ეს ამბავი არ მომიყოლია შენთვის — ცხვარში დავდიოდი მაშინ, ჩავიყრიდი ზურგჩანთაში ვაშლებს, ნიგნებს უფრო მეტს და ვერც ვიგებდი, როგორ მიღამდებოდა. უკან მობრუნებულს ხალხის ხმაური ყვავის ყრანტალად ჩამესმოდა ყურში და მერჩივნა, მინდორში, სიმშვიდეში დავრჩენილიყავი.

იმ დღეს კი განვიმდა — ჯერ შემპარავი წვრილი წვეთებით, შემდეგ მსხვილითა და ცივით. ახლა კიდევ ნისლი, სქელი, შედედებული. კი არ დავსველდი, დავჟივდი. მაშროლოვდა ყოველი ამოსუნთქვისას, მომეკრო ტანზე სველი ტანსაცმელი.

ეს დილით, წინ ჯერ კიდევ ცივი შუადღე და საღამო მქონდა. წვიმდა და წვიმდა...

ავმღერდი სიმწრით. ვმღეროდი მზიან დღეზე, სავსე ჩახჩახა მზეზე. უპრეტენზიო მსმენელები მყავდა — ცხვარი და რძისფერ საბურველები გახვეული მთები. მწირი რეპერტუარი რომ ამოვწურე, ბოლთის ცემა დავიწყე, გათოშილი ფეხების გათბობას ვცდილობდი. და ლოცვაც ნამოვიწყე, ადრე დაღამებოდა და დაღამებამდე გაძლებას ვევედრებოდი ღმერთს. დავდიოდი და ვბერავდი ფეხსაცმლიდან სასაცილო წყლიან ბუშტუკებს. როცა დავივალე სიმღერით, ყვირილით და ლოცვით, მივიხედე...

ის დავინახე, სველი თავშლით და ცრემლიანი თვალებით. მომეფერა, ჩამომწურა დამტკნარი ხელით წვიმის წვეთები. როცა გაყინული თითები ვერ ავამოძრავე, მიიტანა თითები სახესთან და ისევე გამითბო სულის შებერვით, როგორც ბავშვობაში გუნდაობით გაყინულს. როცა გამოიდარა მინდორში და ჩემს თვალებზეც, ის წავიდა.

ღამით კი, როცა სანოლი მეღირსა, კიდევ ერთი საბანი დამაფარა. ვგრძობდი, როგორ მეფერებოდა, სანოლის გარეთ გამოყოფილ ფეხებზე, შრომით დაკოყრული ხელებით.

ისე, რა გამაცვივდა ღამით, საცვალის კი მატყლის მეცვა მისი მოქსოვილი. ნარმოგიდგენია?! ჩაგაცვამენ მატყლის მკბენარა საცვლებს და გაგიშვებენ დასაძინებლად. შენ კი ღამით ისეთ სიზმარს ხედავ, ვითომ მოსაკლავად მოგდევნენ და ვერ გარბიხარ. ქსოვა კი კარგი იცოდა. ერთხელ მითხრა: „მამაშენი რომ გამიჩნდა, მაშინ ქალაქში ვცხოვრობდი, ფსიქიატრიულში ვმუშაობდი და მალაგებლად. ღამე ავადმყოფებზე მეჭირა თვალი და თან ვქსოვდი. რომ არ დამძინებოდა, ფეხსაცმელებს ვიხდიდი და იატაკზე ვდგებოდი მუხლებით. ვწვალობდი მთელი ცხოვრება ვირივით აკიდებული“. მახსოვს, მითხარი შენი სახსრების ტკივილის შესახებ. წყაროს პირზე ვირისტერფა უნდა მოკრიფო და მტკივან სახსარზე მარლასთან ერთად უნდა შეიხვიო. უნდა იმუდმო ორი კვირა მაინც, ყოველ დილას და საღამოს. დამიჯერე, გიშველის, ოღონდ ვირისტერფა აუცილებლად მწვანე და ხასხასა უნდა იყოს და არა ბებერი და ფოთლებშემტკნარი.

მეორე საღამოს სასწრაფო დამხვდა შინ. ისევე გამხდარიყო ცუდად. ის ოხერი საკაცეც მძიმეა, კარში ვერ გამოატიეს და ბებიაჩემი ხელში აყვანილი გამოვიყვანე

გარეთ. მიყურებდა და დარდობდა იმის გამო, ასე რომ შემაშინა. ლოცულობდა, ვიცი: „ყველას ჭირის სანაცვლო მე ვიყო, ღმერთო“.

ჩვენ კი მარტონი ვიყავით, მე და ჩემი ძმა. დედაჩემი „იმას იქით“ იყო და მამაჩემი, როგორც ყოველთვის, მთვრალი. სასწრაფოს მივყვებოდი და ახლა მანქანა გაფუჭდა. ხომ ამბობენ, ერთი თუ ფეხი გადაგიბრუნდა, სულ უკან-უკან მიგდის ცხოვრებაო. მაშინ ისევე ძველი გზა იყო წყნეთის, ვერეც არ ადიდებულიყო და არც იმდენი ხალხი გაემწარებინა ჯერ. მაშინ კი ჩემი დარდი მქოდა, ბრმა თავის ბრმა თვალებზე ჩვიის.

მივედით საავადმყოფოში და გავიქეცი, ის ექიმი ვნახე, რომელმაც წამოიყვანა. კარგად იქნება?! ალბათ, და ცხვირწინ მომიჯახუნა კარი. როცა მეორე დილით სანახავად შევივივე, იწვა და გაფითრებული სახეზე ნიაღვრად ჩამოსდიოდა ცრემლი. მაჯაზე მოვიკიდე ხელი და ვუთხარი, ჩვენზე ნუ დარდობ, კარგად ვიქნებით-მეთქი. მიყურებდა დანაშაულითა და უმწივრით სავესე თვალებით — ისეთი თვალებით, ძალიან რომ უყვარხარ, სული რომ ენევა შენთვის, უნდა, დაგეხმაროს და ვერაფრით გეხმარება. არ დამაინწყდება მისი თვალები, რომც მოვკვდე და ცხრა მტკაველი მიწა რომ ამომივიდეს გულზე. ვხედავდი, როგორი პირქუში აუღელვებლობით მიყურებდა სიკვდილი.

რა არის, იცი, სიყვარული? ისე, არაფრის გამო რომ უყვარხარ, მართლა გულის დამწველი რომ არის შენი და არა ის, იმის გამო რომ გიდავს გვერდით, შენთვის გაკეთებული სიკეთის ფასად საკუთარი თავი დააჯეროს, რომ კარგია. ჩვენს დროში კი პატრონი არ გეყავს და ღმერთის ანაბრად ვართ დარჩენილები.

პალატიდან გამოვედი და მისმა მკურნალმა ექიმმა ატირებულ მამიდაჩემს უთხრა: „ფული თქვენ არ გაქვთ და მუქთა კუბოში გინდათ ჩანვეთ?!“ მესმოდა ეს სიტყვები და კედელზე აყუდებული სიმწრით ვიჭამდი თითებს. რა მექნა?! მის ხელში ვიყავით ბებიჩემიც და ჩვენც.

რალაა მოსაყალი, სახლში მკვდარი გვინევს. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი, ჩვენ კი მაინც მარტონი ვიყავით. რაც უნდა მითხრა, ყველა ასე ვართ, სხვისი მკვდარი მძინარე გვგონია. იტანჯება ამის გამო ჩვენი შემყურე ღმერთი.

დავთვერი ბოლომდე დაკრძალვის წინა დამეს და მივედი ბებიჩემთან სალაპარაკოდ. მის თავთან მივეყუდე კუბოს და ფეხები მოსამძიმრებისთვის დადგმულ სკამზე ჩამოვდე. მოვუყევი ჩემზე ის, რაც უთქმელადაც იცოდა — თუ როგორ ვერ ვპოულობდი ადგილს ცხოვრებაში, როგორც ვტკენდი გულს, ვისაც ვუყვარდი და როგორ ვიყავი მოსიარულე იმედგამცრუებული. ვუთხარი, რომ მიყვარდა და ვნანობდი, რომ ხშირად არ ვეუბნებოდი ამას. მეორე დილას ამოვაფარეთ მინას ბებიჩემი...

დავრჩი ცას გამოკრებული უქომეაგო. შენ სოფელში არასოდეს ყოფილხარ. დაიბადება ხბო და თავს იკლავს ბლავილით, დედას ეძახის. სველია, სცივა, იცის, მარტო დედის ხაოიანი ენა გააშრობს. დედას მისი არ ესმის, ხბოს კი კოლოები კბენენ სველ ტანზე და თვალებზე. ყოველ ღამე ეძახის დედას კოლოებით ამოვსებული თვალებით. ასე ვიყავი მეც, ვხედავდი ყოველ ღამე სიზმარს. იდგა ბებიჩემი მეზობლის სახლთან და ვერ ვხედავო, ამბობდა. სისხლით გავსებოდა თვალები, თან ნაკადულეზად ჩამოსდიოდა.

იცი, რატომ უნდა იყოს ღმერთი?! ადამიანი თავისი გაძალღებული სიცოცხლის შემდეგ რომ მოასვენოს და მტყუან-მართალი არჩიოს.

ვნახე ის ექიმიც, იჯდა კაფეში ღამაზ ქალთან ერთად. გარეთ კი ჟინჯლი იყო და მათხოვარი იდგა, როგორც ჩვენი უღიმღამო ყოფის განსახიერება. ექიმისთვის არაფერი მითქვამს, კუზიანს სამარე ასწორებს მარტო. მეთქვა და ინანებდა რამეს?! არა, ესეთები ისე ჩადიან საფლავში, თავის ავკაცობას არ ნანობენ. ინანებენ და მარტო იმიტომ, თავის ავკაცობაში ის ფასი ვერ მიიღეს, რასაც ელოდნენ.

ახლა როგორ ვარ მე?! მივეგორავ იმ ქვასავით, გასაჩერებელს რომ ეძებს. ვიცი, არაფერიც არ გაივლის, მიუქარია სოლომონს იმ თავისი ბეჭდით. დარდი და სინანული ნემსებივით დაგინწყებენ ყოველ ღამე ჩხველტას. მთავარია, გავუძლო და ვიცხოვრო. ვიცი ისიც, კიდევ რომ შემცივდება ნისლიან დღეს, მოვა და ვილაც გამითბობს ხელებს, სუნთქვის თბილი ანაორთქლით. გულიც ხომ გამითბება თავისთავად. ისე, არც ისე ცუდადაა ყველაფერი მოწყობილი — შენ სურვილი თქვი დანახვის, თუ ძალით არ დაიბრძავე თვალი, აუცილებლად დაინახავ.

გამოხტება ვილაც, ყველაფერზე თავისი აზრი რომ აქვს და მოგთხოვს იმის ახსნას, თუ რა არის ღამაზი. მოვა ოქტომბერში თოვლი დაუპატიჟებელი ღამეული სტუმარივით. გადაათეთრებს არყის ყვითელ და მწვანე ფოთლებს. გამოაჭყიტებენ წითლად შაფრანა ვაშლები თოვლის თეთრი ქუდიდან. და ვეტყვი იმ არამკითხეს, რომ ღამაზი ისაა, რაც ჩემთვისაა ღამაზი. გამოიხედება მეორე დღით მზე, დაადნობს და გაანყალებს თეთრ დღესასწაულს. ასეა, ყოველთვის გამოჩნდება რალაც ან ვილაც, ყველაფერი რომ გააფუჭებს. თუმცა მივეჩვიე ამას უკვე. მე კი ავიღებ სანთლებს და წავალ სასაფლაოზე ღმერთთან და ბებიჩემთან სალაპარაკოდ...

ღამასვენი

ის კაცი, რომელიც ამ ამბავს მიყვებოდა, ასე ამბობდა ხოლმე: სიკვდილს ჩვენ ვეძახით, თორემ სინამდვილეში დამასვენე ჰქვიაო.

დაბერდაო გოგიაც, თავისი დარგული კაკალივით დაეგრისა ხელ-ფეხი. ტკივილით არაფერი სტკივია, უბრალოდ ჯანი მოეგადა და მოცვდა.

სიკვდილის მაშინაც ეშინოდა, როცა მარიამობას საყდართან ჩხუბობდა, ანდა ყეინობისას, როცა ახალდაქორწინებულ ნეფეებს ყეინთან ერთად ყინულიან წყალში ყრიდა. პატიოსანი იყო და, როგორც ყველა გლეხი, ცოტა თვალვიწროც. მეველედ მუშაობისას დალთველი ქვრივი ქალი დაუჭერია. ღიმილს კრფდა ახლადალელებულ ქერის ყანაში.

შემშლის დრო იყო და შიშის ერთი ძნა თავთავის გამო თბილისის ქუჩა-ჩაშვალ გზაზე, წითელ კედლებთან ხვრეტდნენ ხალხს. შევედრებია ის ქალი, ოღონდ ნუ დამასმენ და ორშაბათს ამოვალ და მოგცემო. ღამაზი ქალი ყოფილა, თვალმისავალი. გოგია კი ამბობდა, ის ქალი ორშაბათს მელოდა, მე კი სამშაბათს ავედიო. დაუსმენია მაინც ქალი.

სიბერისას გოგიამ იფიქრა, რომ სიკვდილთან ახლოს ყოფნა მისდამი შიშს დააინწყებინებდა. ქელეხებში მზარეულობა დაიწყო. ხან უმლაშდებოდა და ხან უმწარდებოდა, არ იყო მისი საქმე. მთვრალი და შიშვალადელი გარეცხავდა მასათს, დანებს და ინყებდა ტრახახს: ამაზე ორჯერ დიდი სოფელი გალმავა, საყდრის გვერდზე წევს, ამათგან ნახევარზე მეტი ჩემს ქაფქერქვეშ არის გავლილიო.

ახლა, როცა სიკვდილი კართან აეტუზა, შეეშინდა, ისე შეეშინდა, როგორც ჭრელი გველის დანახვისას ეშინიათ ხოლმე. მოსვლოდა რიგი.

სანახავად მისულს მთხოვაო, ყვებოდა ის კაცი: შუადღით რომ ამასვენებთ სასაფლაოზე, საღამოს უკან ჩამომასვენეთ, იმათთან მარტო ნუ დამტოვებთო. იმ ღამით მარტმა ბზობას მეცხრე თეთრი კაბა ჩაიცვა. გოგიას ეძინა და ხედავდა სიზმარს. სიზმარში იმათ ხედავდა, ვისაც მანამდე საყდრის გორაზე გზავნიდა.

ხედავდა შალიკოს, ისეთს კი არა, ბოლოს რომ იყო. ღამღამობით, როცა ჭამას დაამთავრებდა, პროთეზს ენის წკლაპუნით გალოკავდა და ნათალ ჭიქაში სდებდა. ტკივილებისგან გამწარებული ამბობდა, თავს მარტო იმიტომ არ იკლავდა, რომ შვილები უშლიდნენ, ჯოჯოხეთში მოხვდებო. თუმცა მისთვის ჯოჯოხეთი უკვე კარგა ხანია, დამდგარიყო. ნოემბრის ერთ ჟინჯლიან დილას აუღრინდა შალიკოს გული, ზიზღით გადახედა შარდისგან ჩაყვითლებულ ლოგინს, კედელთან მწოლიარე უმფოთველად მძინარე ცოლს, სკამზე დაბჯენილი აივანზე გახობდა და თავით გადმოეშვა ქვის კიბეზე. გოგია კი მას სიზმარში ახალგაზრდას ხედავდა, ისეთს, როგორსაც მას თანამებრძოლები მთის არწივს ეძახდნენ — სიმამაცისა და სილამაზის გამო.

გოგიას ძილში ერთი გასიზმრება გაახსენდა, რომ მის ქელეხში ლობიო ქვაბზე მიენვა.

ნახა გოგიამ ღამარაც. შვილი რომ ეძახდა, ბოზი ხარო და ღამარასაც, დარდისა და ცრემლისგან ამოშრეტოდა თვალები. გოგია მას ახლა კალოზე ხედავდა, თვის ზვისს ამოფარებულს. იდგა თბილი მზე და სუნი მოთბული ბალახის. ალბათ მთვრალ ქმარს ეძახებო, გაიფიქრა გოგიამ სიზმარში. შილაფლავი დაუშლამდა მის ქელეხში.


ნახა თავთიხაც, გამოთხრილი ჰქონდა უკვე თვალი. შვილს აბრალებდა თვალის დაკარგვას. იწვა თავთიხა ხავსგადავლილ პატარა საფლავის გვერდით, რომელსაც ეწერა: ნაველ უმანკო.

კიდევ ბევრი თავისი დამარხული ნახა თოვლიან ბზობა ღამეს გოგიამ სიზმარში.

მე კი ვნახეო, ამატებდა ის კაცი, გოგია ფიჭვის კუბოში მწოლიარე — მშვიდი ჰქონდაო სახე, მაგრამ სულაც არ იყო ის ცუდს შეგუებული კაცის სიმშვიდე...

XV





ირმა შიოლაშვილი

ალექსანდრის

შენი იყო ყველაფერი, რაც მინაზე ვერ მოვასწარი, შენ შეინახე სისხლის ჯანმრთელ მოლეკულებში, გაუნანილე შვილებსა და შვილთაშვილებს ჩემი სიტყვა, იმედი მაქვს, გაიგებენ, — ბუნებაში არაფერი არ იკარგება.

შენმა ხელებმა შეიფარონ ჩემი ზამთარი, შენმა თვალებმა შეიფარონ ჩემი ზაფხული, ეს ზღაპრები და ლეგენდები — ბებოს დავთარი — დედა-ბუნების სიბრძნეშია გადანახული, შენ შეინახე ეს ბუნება, გადაგვდეს საგზოდად ყველა სინათლე, სადაც ჩემი კოდი იდებოდა, მე მხოლოდ ჩრდილად გამოვყვები შენს ლამაზ აზრებს და დედის ლოცვას გადაგიშლი გზებზე, ხიდებზე...

მას მერა მჯერა, ღმერთო

ყოველ კვირა დღეს, როცა ჩემი სიტყვებისგან აშენებულ ტაძართან ვდგავარ, ვფიქრობ ხიდზე, ჩვენს შორის რომ გადებულა, ღმერთო. ყველა ხიდი დაინვება, ამ ხიდის გარდა.

არადა მოხდა, — დიდი ხნის წინ ცეცხლი შეუნთეს სათითაოდ ყველა სიტყვის პირველ ბგერას, და ელოდნენ, რომ ტაძრის კედლებს საძირკველი სანთელივით დაუდნებოდათ. მაგრამ თითოეულ სიტყვას ეყო ბრძოლის ძალა, აწრიალდნენ ხმონები და თანხმონები, პირი შეკრეს და ჟანგბადი ამოახველეს და გადავრჩი, და გადარჩა ყველა კედელი. მას მერე ვდგავარ გულუბრყვილო ბავშვივით და ყველაზე მეტად მჯერა შენი სიყვარულის, — ჩემში მილიონ აყვავებულ სიტყვად რომ ჩარგე.

ქვა

ჩემს ხელებს მისი სუნი უდის, ჩემს ტუჩებს მისი სუნი უდის, შეუძლია დამშალოს და ისევ ამანყოს, შეუძლია სამჯერ მომკლას და სამჯერვე გამაცოცხლოს, ჩემი კაცია. მას ყველაფრის უფლებას ვაძლევ.

ის ქვა იყო. მე ვიპოვე, სული ჩავბერე და დავიჯერე, რომ მიყვარდა, ჩემი გული გაფუყავი, ჩემი სიტყვა გაფუყავი, ის კი მაინც ქვა იყო და საკუთარ თავს მესროდა ხოლმე.

მე კი ვიცვამდი ლამაზ კაბებს, ერთი ღამისთვის ნაყიდ კაბებს, ერთი კოცნისთვის ნაყიდ კაბებს, ერთი ტანჯვისთვის ნაყიდ კაბებს, გულს მის ქვის გულზე ვანებებდი და სიყვარულს ვეფიცებოდი. ის კი საკუთარ თავს მესროდა, გულზე საკუთარ გულს მესროდა, — ასე ვუყვარდი.

პოეზია

ბესიკ ხარანაულს

მიდიოდა. ბეჭებში მოხრილი ამხელა ნიჭიერებით, გუდასავით ეკიდა ზურგზე ათასჯერ გადახარშული ცხოვრება, რომელსაც ალღო ისედაც ვერ აუღო, რომელიც, მართალია, მისი ნიჭიერებით იკვებებოდა, მაგრამ სწორედ მსუყე ნიჭი ადგებოდა გაბერილ გულზე. რა ექნა, 21-ე საუკუნის პოეტი ერქვა, თავი უნდა გაეტანა ფერადთმიანი შეშლილების ჯგროში, უჰაერო ქალაქის ყაყანში, სოციალური მედიის ჯუნგლებში. მიდიოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ იხდიდა ცხოვრებას, რომ ცხოვრებისთვის არაფერი დაებრალეზინა რომ მის მწარე გულწრფელობას ჰქონოდა მხოლოდ საკუთარი ნაღველის გემო.

ჩემი ცხოვრება

ის ისტორიები, ის ახალგაზრდობაში გადატანილი ისტორიები: სარკეში არეკლილი მართალი ისტორიები, ღამეებში ჩანსული დაღლილი ისტორიები, გათენებდნენ ამოზრდილი ხასხასა ისტორიები მზად არიან, ანწყობი შემომისახლდნენ, მკლავზე ჯაჭვივით შემოეხვივნონ ჩემს ცხოვრებას და ხელახლა დააწერიონ ლექსები ყველაფერზე, რაც დამთავრდა და რაც მაშინ ასე გულუბრყვილოდ გამომივიდა.

ჩემი ცხოვრება — დაფანტული ფერად ღილებად — წარსულს და აწმყოს ერთნაირი სისავსით იტანს, ხოლო ხეები — ცხოვრებიდან ამოზრდილები — ამ მარადიულ გასაყართან ხეთქავენ კვირტებს, საუბრობს მინა, მადლით სავსე, მისი ბაგიდან, ძველი სიტყვები ამოდიან ცოცხალ იეზად, მე კი ვდგავარ და აღარ ვიცი, საით წავიდე ჩემი სარკეში არეკლილი ისტორიებით.

ყველა ამბავი გაიზარდა, ყველა იმედი გაიზარდა, მაინც აქ ვდგავარ.

რამა

შუაღლე იყო, აუდიტორიიდან ბიჭები რომ გაიკრიფნენ და ჩადრი მოიხადა. ჩემს თვალწინ აყვავდა მისი დაუჯერებელი სითეთრე. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი თავდაჯერებული ნაკვეთებით, გულში პირველად დავწყევლე ჩადრის არსებობა. გარეთ წვიმდა. ნამდვილი გერმანული წვიმა იყო და ისიც გერმანულ წვიმაში ანათებდა — ჩადრის გამოღმა ანათებდა არაბი ქალი! ხოლო ევროპა — გულუბრყვილო და ბედნიერი — ჩემსავით იდგა და ნაზ ხელებს ასავსებდა.

13 ნელი

შეხედე, სარკე შევიძინე, ახალი სარკე შევიძინე, ამ სარკეში გამოჩნდება შენი პროფილი და შენი სიყრმის სათამაშო, შვილო. შეხედე, შენს ჩრდილს ვეფერები, ულამაზეს ჩრდილს ვეფერები, ხელის მოხვევას ვცდილობ. შენ კი დედის ხელს გაურბიხარ, დატეხილი ხმით გაურბიხარ და საკუთარ თავს ეძებ. მე კი ჩემს გულში ვიხედები, მერე სარკეში ვიხედები და თავს უხმოდ ვნებ გვერდზე.

ჩარჩოს გარეშე

არადა მთელი ცხოვრებაა ველოდები, რომ მაჩუქებენ ნახატს, რომელსაც არ ექნება ჩარჩო, რომელშიც შეიყუყვებიან ჩემი ბავშვობის უნაპირო მდინარეები, მინდვრებსა და ხეებსაც თან შეიყოლებენ და ერთად გაუყვებიან გზას ჩემი ღმერთისკენ, რომელიც არსებობს და რომელმაც უკეთ იცის უნაპირო მდინარეების საიდუმლო, რომელიც თვითონ მდინარეა და როდესაც მზად იქნება, ჩემს ნახატში შეიყუყოს, ჩემი ხეები და მინდვრები ამოიყენოს გვერდით, გზას დაადგეს საკუთარი თავისკენ და მეც თან წამოიყლოს, გაფუფხულ, რომ მთელი ცხოვრება მდინარეებში ვაგროვებდი კენჭებს და ცარიელ ფურცლებზე ვანებებდი, რომ ასე მაინც ვყოფილიყავი მის სიახლოვეს



მსილება

მოგონებებთან მისადგომი გზები ჩახერგეს.
მოთმინების და უთქმელობის განაკანრებით,
ბედნიერების წერტილებით — ჩაგრული სარკე
ბინძურ ანარეკლს ითავსებდა ბედის სიღრმეში.
ამ ტანმკრთალ ლანდებს შორის სიცარიელე
მიახლოვების მეტყველი და ცივი აქტია;
ჩემი ადგილი — მოგონილი მხიარულება.
მეჩვენება, რომ გაუცხოვდნენ სილუეტები
და რეალურად არაფერი არ მეჩვენება.
სად გაძლიერდით, ფიგურებო, ასე ამაყად,
როგორ შეძელით არასოდეს მესხენებინეთ,
ან სამუდამოდ სარკის მიღმა გამომეკეტა
ურთიერთობის თქვენული ყველა ასპექტი.
ნუ მსაყვედურობთ. ბუნდოვანი ბუზლუნიც აღწევს
ჩემამდე, როგორც დაგროვილი ბრაზის ნაკადი.
არ მაინყდებ, რომ მუდმივი წყურვილი დღესაც
ყველა წყევლაზე პირქუში და საზარელია,
გუზის ზედაპირს მოვაცილო მწერი თუ მტვერი
და ფსკერთან ახლოს დავლიო მხოლოდ.
გამიმართლა, რომ არასოდეს ვყოფილვარ სახლი,
საყრდენი კედლის გარეშე ხომ დავინგრეოდი...

ისევ

გათენდებოდაო, მპირდებოდი.
მიკვირდა, როგორ ამოგვევსო დღეები სიცარიელით.
არ ვიცოდი, სად გადაამემალა
პირველი თოვლის სიყვარული,
შენ რომ გაურბოდი, რომელმაც ისევ დაგასწრო
ჩემამდე მოსვლა.
ჩვეულებრივი მოძალადე ვარ ცხოვრებისთვის.
„მოთმინებითა შენითა“ —ო მახსენდება.
სხვა დასასრული აქვს — შეეჩვიე... შეეჩვიე... შეეჩვიე...
როდის მოვახერხო ყავით შენი გამასპინძლება.
ვიცი, ეს ბანალურია, მაგრამ უფრო ნაკლებად
ვიდრე სიცოცხლე.
როდემდე შევძლებ ასე წერას, ეს არ მალეღვებს.
არც ბოლო ლექსი იქნება სინანულით გაფუჭებული,
თუ რამდენი რამ შეიძლებოდა სხვაგვარად.
რაც მოვახერხე, ისიც უხეიროდ.
დავანებოთ თავი დედაჩინას,
ხელოვნური მოტივაციით გამოტენილ,
ნესტიან ლაბორატორიას.
რამდენი ექსპერიმენტი უნდა დასრულდეს
გამამხნეველები რიტუალით.
რამდენი უნდა დავმარხოთ,
რომ დავიჯეროთ სიკვდილის არარსებობა.
რამდენი გადაწყობა
უნდა გავასალოთ არსებობის მიზეზად
და მიზნების აღმატებით ხარისხზე
როდემდე უნდა ვილაპარაკოთ.
რამდენჯერ უნდა გადავანაწილდე.
ხმას ველარავის ვაწვდენ.
მოდე და, ნუ გაგეცინება.

სართულებიდან არ ითვლიან ვერგაფრენილებს.
საგამოფენო დარბაზივით მოგამზადებენ გამორჩენისას.
ყველა სიტყვაში საზეიმოდ აიკვირებ დილის ხმაურს.
ალარ მოგინვეს, გამოკითხო ამბავი იმას,
ვინც უარი თქვა ლოცვაზე და ისე ათია
უკანასკნელი კვირის ღამე — ბოლო ნუგეში,
ბოლო გუბიდან ამომხტარი ბაყაყის შიშით
თუ მოკვდებოდა, იქნებოდა წვიმა და წვიმა.
მერე ბავშვობა აივსებდა ჯიბეს მარილით,
ასანთის ლერებს მოაძრობდა გოგირდის თავებს,
ხელისგულზე გაიშლიდა ფხვიერ მოლოდინს;
დალაშქრებამდე ალბათ წვიმაც გადაიღებდა
და შენობები მერამდენედ შეიმშრალებენ
მტკნარი ნერწყვისგან დასველებულ მხრებს
და ზედაპირს.

მალაყი

მზე არ იქნება, იქროლებენ შენი ქარები.

გზა არ იქნება, დაგაფეთებს ღამე უშვერი.
წყალში გახსენი ზნენაკლული შენი სიზმარი;
მოლოდინისგან იქნებ თავი გადაირჩინო.
არ დაიჯერებ — გაიჩეხა თურმე ედემი,
თურმე დედებსაც გაუშვილეს ყველა მებაღე.
არ გიფიქრია, უსაშველოდ რისთვის ედები
ღობეს და ყორეს. დაგიხურეს, რაც კი შეაღე
ალაყაფები, დარაბები, შუშაბანდები.
სხვა ნარგავებმა აითვისეს ახლა მიდამო...

დროა ხმაურის

ყოველთვის ნამდვილი იქნება შეგრძნება,
როგორც წყალქვეშა დეფორმაცია;
მაშინ თუ ნებას გაითავსებდებ
გარემოების შესაბამისად.



დროა ხმაურის, დროა ხმაურის...
რადგან ოცნება მარადიული
გადაეშვება, შეუერთდება
მოგზაურობას აორთქლებამდე.
ალარ გექნება სხვა გასაქანი,
ხელი ჩაქნევას გადაიფიქრებს,
თან გაიფიქრებს, კლდეებს ჩანჩქერი
თითქოს ჭაღარა ნანნავის მსგავსად
უკვე წელამდე ჩამოუგდიათ.
დადგები ქართან პირის შექცევით,
ან რჩები ხალხთან, წყალს რომ იგუბებს
იმ გზაზე, მთას რომ ვინროდ ევლება,
როგორც მსუქანის ღიბზე ქამარი.
დროა ხმაურის...

ბასკლა

დაუთმეთ თქვენი ყურადღება გუშინდელ ამბავს,
გამოიგონეთ ყველა სიზმარი,
მთელი ცხოვრება, ახდენას რომ აპროტესტებენ.
ცივი და მშრალი სიტყვებიდან უხამსი სუნი აქვს ნუგეშს
— არსებობისთვის უიმედო წინაპირობას.
და თუ გზა არ ჩანს...
და თუ გზა არ ჩანს...
და თუ გზა არ ჩანს...
დაივინყეთ უბადრუკობა.
ბედი პირფერი უნდა იყოს, ეძებთ თუ მარხავთ
მზეს დასავლეთით. სიმშვიდეა, სადაც თქვენ არ ხართ.
გადაიკიდეთ განაპირა ემოციები ტანზე და მხარზე,
გაიდგით ფესვი მათში ისევ, ვინც გისმენთ ახლა;
გაყვივით სივრცეს, დაამსხვრიეთ შურის მარხილი,
ზედ რომ არასდროს აპირებდით ადგილის გაცვლას
ვინმესთვის, ნაცვლად მთელი სიმშვიდის.
პირობითია გადაფრენა ყველა სიმღლის;
დასანგრევია შიშის კედელი.
უპირობოა გასვლა სხვა მხარეს
ხიდით, რომელიც საკუთარი ხერხემალია.

რალაც უცნაურად

არის ელფერი უკიდევანო ცის,
არას დაეძებ დღეს თუ იწვიმებს აქ.
აპრილს უპოვნი დღეებს არც ისე ცივს,
ამ კანს ჯერ კიდევ შენი სურნელი აქვს.
სუნთქვის სიხშირე შემოკედლებულ დღეს
სურავანდევით, ლოდინს ისედაც ხრავს;
სანამ სიცოცხლე დაუჯერებლად ჟღერს,
სიკვდილს მივანდობ მაგ გულისპირა ხრამს.
ასე იქნება, ვიდრე შეიცვლი ნიოს.
ასთმანარევი ხველა ბრონქებში ფრენს;
ასე ჩვეულად მივექანები ძირს;
ასე უბრალოდ ვკარგავ მეობის ფერს.
შლის აპათია ყველა კომპარის კვალს,
შლეგანყვეტილი მზერის კედლებში ბუმს;
შრამაორთქლებულ სხეულს დაეძებს კვლავ
შარმი შეხვედრის. ოთახი ისევ დუმს...
ფიქრი აეჭრა ამ ქონდრისკაცა დევს,
„ფარდააჭედო ადგილს ჩამოვხსნი კარს,
ფრენა უსისხლო, წარმოსახვაში დევს,
ვერ გადაჩრები, როდესაც სული ყარს“.

ფარფლისა

გულის მახლობლად დამალავ კბოდეს,
ხან სისხლის ნაცვლად მოგდის ბალღამი.
როცა ასეთი სიცოცხლით კვდები,
უნდა დაღამდე...

ყველა დღის

სისულელეა იძულებით
ვალმოსახდელი,
ჯანიც გავარდეს.
ეს შელოცვები, მილოცვები,
გამოლოცვები.
ყველა კარიდან მეხდამტყდარი
შენი აჩრდილი
გადის ადვილად,
გადის კანიდან, სადაც ხვდება
პირობითობა,
უსახურად გარდაქმნილი
ღმერთთან ლაქუცი;
და ქანცგამძვრალი
შემოუძახებს:
მომილოცია თქვენთვის ყველა
დღესასწაული.
მოერიდებათ, გააბნიონ
სიტყვების მტვერი,
გულწრფელობისგან
ამოშრეტილ წინაპირობად.
მძაფრი სუნი აქვთ მკვდრების
გარდა ადამიანებს,
დააგვიანეს გასწორება ყველა
სიმრუდის,
და რაც დრო გადის, ერთმანეთი
უფრო და უფრო
გულმოდგინებით, რუდუნებით
ანაგვიანეს.

ჩანს

ალბათ უნდა იდგე ასე შელახული ძაძებით,
ალარავის უნდა მარტო დარჩენილი ალხანა,
ახლა ღამეები დღეებს უსინდისოდ ბაძავენ,
გახდი არხენი, ხელი არასოდეს არ ახლო
კარებს, საიდანაც გელის გაძევების მახვილი;
გველის ხასიათით ბედი გულიანად გაგინებს;
ჰოდა, ყველაფერი გარდა გოდებისა — გახველებს,
რჩები დედამინას, როგორც უთავბოლო ვაგონი.
გზაა ქარტახილის, ირგვლივ ნაშალი და ქანია;
ველარ დაგაჯერეს შენთან სიახლოვის არაკი,
თოკზე მარტოობა ტანის გამოკლებით ქანაობს,
ზიხარ, გეცინება, წერ და ღამისაა გარეკო.
რჩები მდიდარი და მინც უსაშველოდ ღარიბი;
იცი ყველა მხარეს შიშით ავსებული ხაროა,
აქ კი გიყურებენ, თითქოს გაგესვაროს ღორები,
სადაც იშვიათად, ალბათ პოეტებიც ხარობენ.

ვფიქრობდი

დიდხანს ვფიქრობდი — ქალაქებზე, სოფლებზე. მთებზე
და ვდარაჯობდი გამოლოცვებს,
ესკიზებად რომ გაუფანტავს მინის მუცელში
დროსთან უძლური მეგზურობის დადასტურება.
იმ არსებებზე ვფიქრობდი ხშირად,
პლანეტებს შორის წარმოდგენებს რომ აჩეჩებდნენ
კოსმიურ ქარებს;
პასუხ გარეშე მცდელობებით ვერ დააღწიეს
სამყაროს თავი;
მისაკუთრეს სხეულები სხვადასხვა ფორმის
და განვითარდნენ;
შემდეგ შეწყვიტეს, იგლოვეს და გამოიგონეს,
ველარ განაგრძეს.
ისწავლეს ყველა ლაბირინთის დაბოლოება,
რომლის შემდეგაც შერჩათ ისევ სიცარიელე,
მათივე ჩრდილის უსახური პარანოია.
ფიქრობდი დიდხანს — ქალაქებზე, სოფლებზე, მთებზე;
ალარსად იყო — ქალაქები, სოფლები, მთები,
გზები, ხიდები, შენობები, თავშესაფრები,
მინდვრები, წყლები, ვულკანები, ტაძრები, ქარი,
ყულფები, ხმები, ღამეები, სიმღერა, მინა,
ნიგნები, წვიმა ასე შემდეგ... შენშია კვალი
უმისამართოდ გადადგმული ყველა ნაბიჯის.
მანძილებს შორის გაფანტული სიბეცის ფერფლი,
ჩაგუბებული ნესტისა და ხავსის იმედი
უშელავათოდ, უპირობოდ გითავისებდა.
წარმოსახვითი პირი ჰქონდათ ადამიანებს,
რიდი არ ჰქონდათ ერთმანეთის, ეჩვენებინათ;
მხოლოდ საკვები თავსდებოდა ყველანაირი,
მათ შორის მანამ რაც ყოფილა მიუღებელი;
რასაც კი გემო გაესინჯა — ვის რა შეერგო...
ვინ რას შეეხო, გასინჯა, ხან ვინ რა ინამა;
რა მოისურვა, დაფიქრდა, ან ვინ რა ითავა
და სამუდამოდ განიდევნა გამოსავალი.
ასე უბრალოდ ალარ დარჩა ფიქრის მიზეზი
თავისუფალი ოცნებების გზაგასაყართან.



ისევე მოვს. თოვლს რა უშავს, თან ქარიც უბერავს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ისეთი ყინვა მოაქვს, ძვლებში ატანსო, რომ იტყვიან. მგონი, გამიმართლა. დღეს არსად ვარ გასასვლელი. სახლში სითბო და სიმყუდროვეა. ფორთოხლის კანები დავენი და სურნელი დგას, თითქოს მზე და ზღვის ქვიშიანი სანაპირო აქვეა, ერთი ხელის განვდენაზე. არადა, გარეთ ლამის ქარბუქია.

ჩემი ცხოვრება ისე აენყო, რომ ბავშვობის მერე ბებიასა და პაპას სახლში აღარ ვყოფილვარ. როდესაც გარდაიცვალენ, უცხოეთში ვიყავი და მათ დაკრძალვას ვერ დავესწარი. სამშობლოში დაბრუნების მერე რალაცნაირად სურვილიც აღარ გამჩენია, რომ იმ სახლში წავსულიყავი, სახლში, რომელშიც უამრავი თბილი და სათუთი მოგონება ინახებოდა და შაქარლამის სურნელიც იდგა მუდმივად. ბებო-პაპას გარდაცვალების მერე კი წარმოვიდგინე, რომ ის სახლი ისეთი ველარ იქნებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ შანსი მქონდა, გულახდილი ვიქნები და ვალიარებ, რომ არ წავიდე, რათა იმ სახლისა და გარემოს ძვირფასი სურნელი და მოგონებები არ შეცვლილიყვნენ ჩემში. ხომ არის, რომ რალაც ადგილი, რომელიმე ადამიანი ან რაიმე მოვლენა ისე მკვეთრად გამახსოვრდება თანმდევნი ფერებით, სურნელით და ატმოსფეროთი, რომ მერე სულ ერიდები, რათა არ შებღალლო მესხიერებაში შენახული ძვირფასი ზმანებები.

იანვრის ერთ საღამოს გადავწყვიტე, რამდენიმე დღით წავსულიყავი ჩემი ბავშვობის სახლში, რომელიც ქალაქიდან შორს, ჩაბურთულ და მივიწყებულ ხეობაში იდგა.

ქარიანი დილა იყო და ცოტა კი მეზარებოდა, მაგრამ რადგანაც გადამწყვეტილი მქონდა უკვე, მოვემზადე და წავიდე.

მიკროავტობუსით ორიოდ საათი ვიჯავჯავყე და, როგორც იქნა, მივალნიე. თუმცა, ეს ჩემი სოფელი არ იყო. აქედან კიდევ ხუთი კილომეტრი უნდა გამეგლო ჩემი მთებისკენ.

სოფლის ცენტრში უბადრუკი შესახედაობის მალაზია იდგა. ფანჯარაზე თუნუქი აეკრია, იქიდან თუნუქისვე მილი ამორილიყო და სამინალად ხრჩოლავდა. მეც მაგარი ჭკვიანი ვარ, რა დროს მომიინდა მოგზაურობა. ძლიერი ქარი ქროდა და კვამლს და თოვლს ერთად ატრიალებდა.

მალაზიის კარი შევადე. ხუთიოდე ახალგაზრდა შემოვადგომოდა სახელდახლოდ მოწყობილ დაბალ მაგიდას და ისიც იყო სადილობას იწყებდნენ. ჩემი დანახვა ისე გაუკვირდათ, ზღვის ქაფიდან ახლადამოსული შიშველი აფროდიტე რომ დაენახათ ამ მალაზიაში, ალბათ არ გაუკვირდებოდათ ასე.

მევესალმე და ვიკითხე, რომელიმე ხომ არ წამიყვანდა მანქანით ჩემს სოფლამდე და ბარემ შეშასაც მაყიდინებდა. მივხვდი, რომ დაეზარათ, თუმცა, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ერთმა თქვა, რომ წამიყვანდა, მაგრამ გარანტიას ვერ იძლეოდა, გზა თუ იქნებოდა. მერე კი დაამატა — არ იქნება გზა და ჩამოვალთ უკან და ჩემი სტუმარი იქნებიო, სტუმარი ხო იცი, ღვთისააო.

ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელო, შეშით დატვირთვით მანქანის საბარგული, ჩაუფუჭეკი მეც ყმანიკის, რომელსაც საოცრად მორიდებულნი ღიმილი ჰქონდა და წავიდე. ქარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ძლივს ავალნიეთ ჩემს სოფლამდე.

ჩაიზე შევიპატიყე ჩემი მძლოლი და ამ მორიდებულღიმილიანმა ბიჭმა თქვა: „თუ ჩაიზე დავარჩი, მერე ღამეც უნდა დავარჩი, ვეღარ წავალ“. ცოტათი შემატუნა მისმა გარეგნობასთან წინააღმდეგობაში მყოფმა თამამმა ტონმა. სულ რალაც წამის მეასედი ვიფიქრე და ვუთხარი — დარჩი, ბატონო, სტუმარი ღვთისაა-მეთქი.

სახლი იყო გაყინული და გაუჰკაცრიელებული. თითქოს ძალიან ღრმა ძილით ეძინა, ისე, რომ ჩემი შესვლა ვერც გაიგო. მას შემდეგ, რაც ღუმელი გამართა, აანთო და სახლში სითბო ნელ-ნელა მოძლიერდა, კოტემ (ასე ერქვა ჩემს სტუმარს და ისე, ყველა კიტის მეძახისო, მომახსენა) ჟაკეტი გაიხადა და აღმოჩნდა, რომ ძალიან ლამაზი, განიერი და თხელი მხრე-

ბი აქვს. მე ასეთი მხრების დანახვაზე, ჩემგან დამოუკიდებლად, მუდმივად მეშლება ფანტაზიები. მაისური აცვია ლურჯი და ეს თავისი მხრები, რომელიცაც ღვთაებას რომ ექნებოდა, ზუსტად ისეთი — საშინლად მალეღვებს.

საუბარი თითქოს ეძნელება, თანაც ცოტათი მორცხვი ჩანს. დროდადრო ღუმელში შეშას უმატებს და შობებქდილება მრჩება, უხერხულობის გასაფანტად უფრო ირჯება ასე. ჩაიდან მოვქებნი, არც მოვქებნი — იქვე იდგა სამზარეულოში, სადაც ბებო დგამდა ხოლმე. ჩაი და შაქარი ამოვანყვე ჩანთიდან. ორცხოზობილაც მაქვს და რალაც ნამცხვრებიც.

ოჰ, ეს ძველი ბუფეტი. ერთ მხარეს ჩაის ჭურჭელი ინახებოდა, მეორე მხარეს — სამურაბები და საკანფეტე ჭურჭელი. ქვემოთ — თევზები, უჯრებში — დანა-ჩანგალი და კოვზები, შუაში, დიდ, გამობურცულ უჯრაში — სათუთად დაკეცილი გახამებული ჩაის ტილოები. ამ უჯრის თავზე საჭრელი დაფა. მახსოვს, ძალიან მიყვარდა იმ დაფის გამონევა და დაყნოსვა.

ხათუნა გიგუაშვილი

ექვსი ჩაის გემო



რალაცნაირი სურნელი ჰქონდა იმ დაფას, მუხის ქერქის თუ რალაც ისეთის, სახელს რომ ვერ ვარქმევდი და მიყვავდი თითქოს შორეულ და ნამდვილად არარსებულ მოგონებებში, რომლებიც ისეთი სუსტი იყო, ვერც ვერაფერს ვიხსენებდი და იყო ეს შეგრძნება ერთდროულად ტკბილიც და დამლელიც.

მე და კიტი ვსხედვართ ოვალურ მაგიდასთან, ჩაის მივირთმევთ. ოთახში თბილა, სიმყუდროვეა. გარეთ ქარბუქი გრგვინავს. ვფიქრობ, როგორ დავიძინოთ მე და კიტი. საძინებლები გაყინული და გაუდაბურებელია. სტუმარს ვერ შევთავაზებ იქ მოსვენებას. და რაც მთავარია, მხოლოდ ერთი ხელი თეთრული მაქვს. ბებოს თეთრულიც კი შემოძლია, ვნახო, მაგრამ ალბათ ნესტიანი იქნება. იქნებ მტვრიანიც. დროის მტვრით სავსე.

სასადილო ოთახში ორი ტახტი დგას. ერთი რბილია, მეორე ხმელი. ამ ტახტში ლოგინი უნდა ეწყოს. კიტის ვეუბნები, რომ თავს თუ უხერხულად არ იგრძობს, ორივემ აქ უნდა დავიძინოთ, ამ ოთახში. კიტი მპასუხობს, რომ — პირიქით, და ილიმბა. მე თავს ვიჭერ, რომ კიტის მხრებზე მზერა გამიჩერდა, მაგრამ, მგონი, მალევე მოვთოკე თავი. ღმერთო, რა ბიჭია! თან მეცივნება ჩემს თავზე.

ერთი სიტყვით, რბილ ტახტზე კიტი მოვათავსე, მე კი ჩემს ბავშვობასთან ერთად ხმელ ტახტზე მოვეწყვე. მართალია, კიტი ჯიუტად აპროტესტებდა ჩემს გადაწყვეტილებას, მაგრამ მასპინძლის ყველა უფლების გამოყენებით ვაჯობე.

კიტიმ მითხრა, რომ ჯობს, ღამით ღუმელი არ ჩავექროთ, თორემ დიდი ხნის გაუთბობელ სახლში ალბათ გავიყინებით. თანაც, არც არაყი გვაქვს ან კონიაკი, რომ სიცხვეს გავუძლოთ. მართალია, სხვა საშუალებებიც არსებობს, რომ არ გაიყინო, მაგრამ აქ მაგაზე არ ვისაუბრებო. რა სასაცილო ბიჭია ეს კიტი.

ნეტავ რამდენ ხანს მეყოფა შეშა? ვნევართ ჩვენ-ჩვენი, ღუმელიდან გამომავალ წითელ ათინათებს ვუყურებ კედელზე და შეშის ტკაცუნს ვუსმენ. ალ-

ბათ იგივეს აკეთებს კიტიც. მისი ტახტი ბნელ კუთხეში დგას და ვერ ვხედავ სახეს. მინდა, ვკითხო, ხომ არ ხვრინავს და ვერ ვხედავ — ვფიქრობ, არ ეწყინოს.

— ღამით არ ვხვრინავ, — მეუბნება კიტი სიცხლით.

ცოტა არ იყოს შემეშინდა, მაგრამ თავი დავიმშვიდე, რომ ეს მხოლოდ უცნაური დამთხვევაა.

მალვიძებს სიცხე. თვალებს ვახელ და ვხედავ თუნუქის ღუმელის გავარვარებულ წითელ გვერდს. კიტი იქვე ზის და გულმოდგინედ უმატებს შეშას.

წარბებსქვემოდა ამომხედა და ისე გაიღიმა, თითქოს რალაც ძალიან გაუხარდა. კიტი ზურგით ბრუნდება და უკნიდანაც ეტყობა, როგორი დაჭიმულია.

შეშა შუშაბანდში შემოზიდა. ღუმელის ქვეშაც დაანყო, რათა კარგად გამოშრეს. მერე ვისაუბრეთ. მერე თქვა, რომ უნდა წავიდეს და მე საოცრად დამწყდა გული.

— ნუ გაიყინები, ფისუნი... — მითხრა გასვლისას და აღელვებულმა შემომცინა.

— არ გაიყინები, ვეფხვი! — ვუპასუხე მე.

აივნიდან ვუყურებ მიმავალ კიტის. თითქმის მუხლებამდე თოვლში მიდის ოდნავ თავდახრილი და მინც ისე დიდებულად მიაქვს მხრები...

Peché abricot THE BLANC (თეთრი პიონი)

რა უცნაურია, როგორ დამწყდა გული. ერთი დღის გაცნობილი ადამიანი წავიდა და თითქოს ჩემი საკუთარი სიმყუდროვის ნაწილიც თან წაიყოლა. არა, ახლა რომ მივეყვ ვაჭვს, ზუსტად მოგახსენებთ ამ შეგრძნებების მიზუსტად და საფუძველსაც... მაგრამ იყოს ასე, როგორც არის. დამწყდეს გული უცნობი ადამიანის ნახვლაზე. თუმცა, იმაზე შემოძლია ვილაპარაკო და დაგარწმუნოთ კიდევ, რომ უცნობი ადამიანები არ არსებობენ. ასეთებად მათ მხოლოდ ჩვენ ვქმნით.

ისე ხვავრეილად თოვს, ჩემი მეზობლის სახლი აღარ ჩანს. არც კიტის მანქანა ჩანს, არადა, წესით, ჯერ ისევ უნდა ჩანდეს.

მყუდროა ჩემი წინაპრების სახლი. დავევიარ ოთახიდან ოთახში და ვათვალიერებ ყველა კუთხე-კუნჭულს. აი, ის ფარდაგი, ბებოს დედამ მოუქსოვა და მზითვეში გამოატანა. ამ მუთაქების და ბალიშის პირები თავისი ხელით მოქარგა ბებომ გვირდებით და ყაყარებით. კარადის უჯრაში თეთრი ტილოს ნაქარგებია — რიშელიე. ბებომ არ იცოდა, ამ სახეობის ქარგვას რიშელიე რომ ჰქვია, გვირდის-ტიო ქარგვას ეძახდა.

რიგრიგობით ვალებ ყველა უჯრას და ყველა კარს...

ვათვალიერებ და ხელით ვეხები ყველაფერს. მერე ვყნოსავ და ისევ ადგილზე ვაბრუნებ. საუკუნაობი ცარიელი ქილებიც, ქვაბებისა და ტაფების მეტი არც არაფერია. ერთ-ერთი თაროს ქვეშ მუყაოს ყუთი დევს, მჭიდროდ შეფუთული. რა თქმა უნდა, დავინტერესდი და ოთახში გამოვიყოლე.

ღუმელი გიზგიზებს და ტკაცუნებს. ფანჯრებს იქით ბარდნის, სახლში სითბო და სიმყუდროვეა და, რაც მთავარია, მე

იდუმალი ყუთი მაქვს, რომლის გახსნასაც არავინ მიშლის, მაგრამ მოლოდინის სთამოვნებას ვიხანგრძლივებ და ჯერ არ ვხსნი.

ნეტავი კიტი ხომ მშვიდობით დაბრუნდა სახლში?!

მე მისი ტელეფონის ნომერი მაქვს. დამიტოვა, რამე თუ დაგჭირდეს, დამირეკო, მაგრამ ვცდილობ, ეს „რამე დამჭირდეს“ იქნებ არ დამჭირდეს, ან მოგვიანებით დამჭირდეს, თორემ იმასაც ვხვდები, რომ კიდევ ერთ ღამეს კიტისთან ერთად ოთახში ველარ გავუძლებ.

ყუთი დგას და თითქოს მიყურებს. ავდგები ახლა და ვავხსნი. ჩვეულებრივი მუყაოს ყუთია, კუთხეებთან ოდნავ შექცეული. ზედაპირზე მტვერი ადევს და ჩითის თასმიტაა შეკრული. ფრთხილად ვავხსნი თასმა და ისე ჩავიჭყიტე, თითქოს რალაც საგანძურს მოველოდი. ყუთში ექვსი ცალი თუნუქის ოვალური პატარა ყუთი დევს. სხვადასხვა ფერის, მჭიდროდ თავდახურული. მაგიაზე ვანყო ყუთებს და ვათვალიერებ. ჩაია. ჩაის არ ველოდი. ველოდი უფრო რალაც მოულოდნელს და საოცარს. არადა, ჩაია.

ერთი კოლოფი თეთრია, ნაზი ყვავილებით მოხატული, „Pêche Abricot“. უკანა მხარეს რალაც ანოტაციისმაგვარიც აწერია. მას თურმე თეთრ პიონსაც ეძახიან. განსაკუთრებული წესით იკრიფება, მხოლოდ კვირტის მომდევნო ფოთოლს კრეფენ გაზაფხულზე. აქვს მშრალი სურნელი, გამხმარი ყვავილების გემოთი. შესანიშნავად ეწყობა ხილის დელიკატურ არომატებს. ამ ჩაის თურმე სახლში დასალევი ჩაი ლუქის ჰქვია და ჩინეთში დიდი პატივისცემისა და თავაზიანობის გამომხატველია, თუ შემოგთავაზებს.

დახურულ სივრცეში ვზივარ. მშვიდად ვარ და უზარმაზარ სიყვარულს განვიცდი. ცრემლებამდე მიყვარს ეს სახლი, სადაც ვცხოვრობ. მიყვარს ის ხმები, რომლებიც სადღაც ჩემი სახლის კედლებს მიღმიდან რბილ ტალღებად მოდის ჩემამდე. მელოდიური ხმებია, მუსიკის, კიდევ ადამიანების, რომლებსაც ვიცი, რომ ვუყვარვარ. მიყვარს ეს მოგონება, როდესაც უკიდევანო ვარსკვლავურ სივრცეში უამრავი ფრთაშესხმული არსება ერთად ვცხოვრობდით. მიყვარს ის მოლოდინიც, რის შემდეგაც ამ სახლიდან სხვა სახლში უნდა წავიდე. მუდმივად ვგრძნობ ჩემს გულს, ჩემი სახლის გულს და კიდევ უამრავ გულს, რომლებიც გამჭვირვალე კრიალა ძაფებით სათუთად ებმის იმ უზარმაზარ გულს, რომელიც სამყაროს სიყვარულს იტევს.

მე ვიბადები, ვტოვებ იმ სიმშვიდეს და სიმყუდროვეს, რომელიც ამდენი თვე ვიცხოვრე. თავბრუდამხვევი ბზრიალი დამთავრდა და ჰაერის ჭავლმა ფილტვები ამივსო. მგონია, რომ ვიხრჩობი და მთელი კოსმოსური ენერგიით დამუხტულმა ტირილი მოვრთე. ვტირი ყველაფრის გამო. ათასნაირი გრძნობის კალიდოსკოპი ბზრიალებს ჩემში და თან ძალიან მცივა.

აი, ჩემი სახლის თვალები. მომწვანო, დალილი, ცრემლიანი და უზომოდ ბედნიერი... და მოულოდნელად ყვავილების სურნელით აივსო ოთახი. ჩემს სახლს დედა ჰქვია და სხეული აუყვავდა, გაზაფხული დემარტა და გარგისა და ატმის ნახავის ცინცხალი გემო დამიტოვა.

გავჩნდი ამ სამყაროში. ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის. მხოლოდ ლაპარაკი უნდა ვისწავლო, მეტი არაფერი. ჰოდა, უნდა დავიმხსლო ის ყველაფერი, რაც მანამდე იყო, სანამ ამ სამყაროს ჰაერს ჩავისუნთქავდი. ჩემი ახალი სახლი თეთრი პიონია.

ვზივარ ძველ, მორყეულ სავარძელში. ხელში სპილოსძვლისფერი ფაიფურის ფინჯანი მიჭირავს და საოცრად სურნელოვან ჩაის ვსვამ — ატმისა და გარგის გემოთი, გამხმარი გაზაფხულის სურნელი რომ დაჰკრავს თან.

ღუმელს შეშა შევუმატე და მერე ისევ იმ ზმანეობის დავბოროილობ, საიდანაც წელან დავბრუნდი. ეს სიზმარი ვერ იქნებოდა — ჩაის ვსვამდი და მძინარე ვერ მოვახერხებდი ამას. არადა, ისეთი რეალური იყო ყველაფერი... მთლად ახალდაბადებულად ვგრძნობ თავს. კანი როგორ სუნთქავს, იმასაც ვგრძნობ. ჩემ გარშემო სურნელებანი და ფერებიც ისეთია,



თითქოს პირველად ვეხები.

რა იყო ეს?! დავიბენი...

იმ ღამეს მეძინა ღრმად და უსიზმროდ,

ჩველი ბავშვივით.

ამ დილით მზეზე ბრწყინავს თოვლი. ცოტათი მოუყინავს და ფუმფულა თოვლის ზედაპირი კარამელივით იმსხვრევა. ჩემი ღუმელი გიზგიზებს. მეზობლის შემოტანილი გოგრა იბრანება და ისეთ სურნელს უშვებს, ისე საამოდ შიშინებს, ერთი სული მაქვს, როდის შეინევა.

THE RUSSE

ჩაის მორიგ — თეთრ-ნითელ-ოქროსფერი ორნამენტებით მოხატულ ყუთს ვიღებ ციტრუსის არომატით. ეს თურმე სამოვრის ჩაია. ურთიერთობების ხელოვნება ერთიანდება სამოვრის გარშემო. სამოვარი სულ თუხთუხებს და დღის ნებისმიერ დროს მეგობრები, ნაცნობ-უცნობნი, მოგზაურები ან ოჯახის წევრები იკრიბებოდნენ მის გარშემო და მიირთმევდნენ სურნელოვან ჩაის ერთმანეთის სიყვარულთან ერთად. სამოვარი იდგა ყველგან — ქალაქებში, სოფლებში, მატარებლის კუპებში, გზისპირა სამიკიტნოებში და ამ სიამოვნების გარშემო იქსოვებოდა უამრავი ამბავი, სიხარულითა და სევდით სავსე — როგორც სურნელი ცხელი დღის შემდეგ ციტრუსის ბალში რომ გაისეირნებ, ისეთი.

ყველაფერი ოქროსფრად ელავს. მზე ამოდის ბუნებრივზე დიდი და ბრიალა. დილის ჰაერი ისეთი ცინცხალია, ნესტოებს მნიშვნის. ღამითაც — ვარსკვლავები უფრო დიდები არიან და ბზრიალებენ და თითქოს, უცნაურია, მაგრამ წელიწადის ოთხივე დრო ზაფხულია. მე და ჩემი ძმები საგზაოს ვინცოთ ზურგჩანთაში. ჩვენი აივნიდან თითქოს ერთი ხელის განვდენაზე გადაჭიმული კავკასიონის ქედი უნდა დავლაშქროთ. მივდივართ იმედით და რწმენით აღსავსენი. მწვერვალები ხომ ასე ახლოა, ისე, როგორც ვარსკვლავები ბზრიალებენ ძალიან ახლოს.

გადავიარეთ ერთი მინდორი, მერე მეორე, მესამე მინდორის ბოლოს კავკასიონის ქედი ისევ იმ მანძილზე ჩანს, როგორც სახლის აივნიდან. დამშუულებმა გავანადგურეთ ჩვენი მთელი საგზაოს მარაგი და მაშინ, როდესაც მზე დასავლეთისკენ გადაგორდა, დაბრუნება მოგვიწია. ცარიელი ზურგჩანთები მოვიკიდეთ და გამოუყუყვეთ გზას შინასაკენ. დაბრუნება ყოველთვის სასიამოვნოა, სახლში დაბრუნება. მოვდიოდით დალილები და ბედნიერები. კავკასიონის მწვერვალები თითქოს დავლაშქრეთ. მინდორების ნაპირებზე მორაკაკე რუს ვენაფებოდით, ვითომ წყურვილისგან განანამებნი. არადა, ჩანთებში სამივეს გვექონდა წყალი, ჩვენი მამის მათარებით. ვბრუნდებოდით დაქანცულლები, ყველაზე სასტიკი გაცნობიერებით სავსენი, რომ მწვერვალები თურმე სულაც არაა ერთი ხელის განვდენაზე, მაგრამ ბავშვურ მოგზაურობებს ხომ არა აქვს საზღვრები. გველოდებოდა ჩვენი საოკეანო იალქნებიანი გემი, რომელიც დიდი სასადილო მაგიდის ქვეშ მდებარეობდა. გველოდა კოსმოსური ხომალდიც სასიმიინდემო და საიდუმლო შტაბი თივის ზვიწში.

დავბრუნდით სახლში ახდენილ-აუხდენელი ოცნებების ნაზავით, რომელსაც მაინც მზის სურნელი ჰქონდა. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ უკვე. ბავშვებისთვის ზეცა ძალიან ახლოსაა.

THE ROUGE

ლორდი ერლ გრეი 1830 წელს იტალიას ეწვია. მისი ტერასის კუთხეში ბერგამოტის ბუჩქი იდგა. ერთ დილას იტალიის ციოტ მოხიბლულმა ლორდმა ბერგამოტის ფოთოლი ხელში მოსრისა და დაყნოსა და ჩაის ფინჯანში ჩააგდო. შავმა ჩაიმ საოცარი არომატი შეიძინა. ემოციებსა და შეგრძნებებზე მონადირე გახლდათ ლორდი ერლ გრეი.

ზღვის სანაპიროზე ჩაძინებულმა მზემ გამომალავა. გაღვიძებისთანავე რაღაცნაირად მძაფრად გავაცნობიერე ჩემი სქესი. მზე დადიოდა ჩემს ძარღვებში და ზღვის ტალღების შრიალი აგროლებდა იმ ქალს, რომელიც ჩემში აღმოვაჩინე. ეს ქალი იყო ერთდროულად — ნაზი, ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული და მაცდური. გაბუტულიც და ღიმილით სავსეც, ღამაზიც და ჭკვიანიც. სამყაროში ჩემამდე არსებულ ყველა ქალს ვგრძნობდი ჩემში. იყვნენ დედებიც, ბებიებიც, დედოფლები

და ქუჩის ქალები, შამანები და კუდიანები, ჯოუტები და ალერსიანები, გულმონყალენი და სასტიკნი, თბილები და აისბერგები, თოვლიანი მწვერვალები და ატმის ყვავილები, ყველანაირი ქარი, თოვლი და წვიმა, თაკარა მზე, ცა, მთვარე და ვარსკვლავები. ყველა, ვისაც ოდესმე, ვიდრე სამყაროს დასაწყისიდან მინაზე ფეხი დაუდგამს...

ჩემი ზემოთ ათინათები ცეკვავდნენ ზღვის ზედაპირზე და ტალღების შხეფებად იფანტებოდნენ. სრულიად ახალ და ჯერარნახულ შეგრძნებებს ვმასპინძლობდი და მე თვითონ ვიყავი მზეც, ზღვაც, ქარიც და სულ პირველი ქალიც დედამინაზე.

ამოუცნობი და რაღაც მოუხელთებელი სურნელით ივსებოდა ჩემ გარშემო სივრცე და ზემოდა ჩემი სხეული...

AMANDE & PISTACHE (უზბეკური ჩაი)

შუა და ცენტრალურ აზიაში ამ ჩაის შეხვდებით ყველგან — არაბესკებით მოხატულ ჩაის სახლებში. იქ შესვლამდე



ფეხზე უნდა გაიხადოთ. ეს ჩაი უნდა მიირთვათ შაქრისა და რძის გარეშე. მიირთვათ ნუშით და გარეული ფისტაით.

თავშესაფარში მყოფთა სასმელი ჩაია, დღის ნებისმიერ მონაკვეთში. მიირთმევენ ზედიზედ რამდენიმე ფინჯანს. ეს სახლის და პირადი სიმყუდროვის ჩაია.

მთის კალთას მიუყუყვები, ზემოთ მივიდვარ და ვიცი, იქ დამხვდება დიდი სიმშვიდე და სიბრძნე. უცბად დაღამდა, მოულოდნელად. ჩემს თავსზემით მილიარდობით ვარსკვლავი აკიაფდა. რაც უფრო ზემოთ მივიწევ, მით უფრო კრიალებენ ვარსკვლავები. ტურები ფეხდაფეხ მომდევნებ, სადღაც მგელიც ყმუის და სადღაც ჩემ გვერდით ტახიც ქმინავს და ხმელ ტოტებს ატკაცუნებს. თითქოს მეშინია. თანაც თავს ვიმხნევე და ვფიქრობ, რომ არცერთ ცხოველს არ მოუნდება თავს დამესხას, იმიტომ, რომ ზემოთ მივიდვარ და ისიც მგონია, რომ მათი განსაკუთრებული ემპათიის წყალობით, ზუსტად გრძნობენ, რატომ მივიდვარ. იქნებ ჩემზე უკეთესადაც იციან, რატომ...

შარშანდელი ფოთლები შრიალებენ ფეხქვეშ. მივიდვარ და მთელ ჩემს გავლილ გზას, რომელიც აქ მოსვლამდე ამოვიარე, ნელ-ნელა წარსულის თხელი ნისლი ედება და თითქმის არ მახსოვს ის გზები, რომლებიც ვიარე.

ხანდახან ბილიკის რომელიღაც მონაკვეთები სრულდება და მე იქაურ ადგილის დედას ვთხოვ, ბილიკები გამომიჩინოს. ყველაზე რთული ის მონაკვეთია, როდესაც მის გვერდით მივიდვარ, ვისაც ეკლიანი გვირგვინით თავშემოსილს უზარმაზარი და მძიმე ჯვარი მიაქვს მხრებზე. მიდის ფეხშიშველი და დაქანცული, მაგრამ ისეთი მტკიცე მუხრით... ფეხსაცემელს ვიხდი და ვცდილობ, მის გვერდით თუ ვერა, სიახლოვეს მაინც ვიარო. ვერ ვახერხებ მის მხარდამხარ სიარულს. მეტსაც გეტყვით, ბევრი ნაბიჯითაც ჩამოვრჩები. ძლივს მივყვები საცალფეხო ბილიკებზე. გზადაგზა მისი გვირგვინიდან ჩამოცვენულ ეკლებს ვკრებ მინიდან ან

როცა ვერ ვხედავ, ვაბიჯებ და ფეხის-გულეებში მერჭობა. ხანდახან იმდენად უკან ვრჩები, რომ თვალთახედვიდან მეკარგება. მერე ვცდილობ, ცოტათი მივუახლოვდე და როდესაც მწვერვალს მივალწევს, ვეცდები, სადღაც მისი ფეხებიდან ოციოდ მეტრში ჩამოვჯდე და გამოვიძინო.

სინათლე გამოირთო. გარეთ ქარია, ყინავს და ისეთი სიბნელეა, სულ ოდნავ, მკრთალად იხაზება თოვლიანი გზა. ავანთე დიდი ბუბის დროინდელი ნავთის ლამპა და ყველა სანთელი, რაც მქონდა. ისე ჯადოსნურად მომყუდროვდა უცებ ოთახი, რომ ისიც კი ვიფიქრე, იქნებ, სანამ აქ ვარ, არასდროს ავანთო ღამ-ღამობით ნათურა-მეთქი.

ოთახის ფანჯრებმა მანქანის ფარების შუქი აირეკლა და ჩაქრა. მეზობელთან სტუმარია ალბათ. ჩემი აივნიდან ფეხის ხმა მესმის, მერე კაკუნია: „არ შეგეშინდეს, კიტი ვარ...“

მე ვიხრები და კიტის თვალეზზე ვკოცნი. კიტი ხელებს მხვევს და ლოყით მუცელზე მიხუტება. და იქვე, იმავე წუთს ღვებობა სიფრიფანა ზღვარი რეალობასა და წარმოსახვას შორის, ყველა ფანტაზია რეალური ხდება და კიტის ცხელ ტუჩებს ვგრძნობ ყველგან, სხეულის ყველა მონაკვეთზე და მთელი ოთახი ივსება კიტით...

დილით ისევ ბარდნის. კიტი ჩემს სანოლთან ზის. ნიკაპი გადაჯვარედინებულ თითებზე ჩამოუდევს და მიყურებს. მიყურებს ღიმილიანი და სიყვარულით სავსე თვალბრტყით.

ოთახში ჩაის საოცარი სურნელი იმღება. რაღაც ძალიან ნაცნობი, ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილივით ლივლივებს სურნელი და ცდილობს, უკან შემომბარუნოს, ტკბილი ზმანებების ქვეყანაში.

— თავს უფლება მივეცი, დაუკითხავად გამეხსნა კოლოფი და ჩაი მომემზადებინა, — რაღაცნაირად მორცხვად ამბობს კიტი და თავდახრილი, წარბებსქვემოდას მიყურებს.

წარინჯისფერი კოლოფია, ინდური არაბესკებით მოხატული. ცვილონის შავი ჩაი, დარიჩინით გამდიდრებული: აქვს ღამაზი ქარვისფერი და არომატული გემო. ჰარმონიულად ერწყმის დარიჩინი.

რბილია საწოლი, რომელშიც ვწევარ. დარიჩინის მზიანი სურნელი ასდის თერთულს. ღია ფანჯრიდან ნიაღვრად იღვრება მზის სხივები და მე სიამოვნებას აყოლილი ზმორებით ვიღვიძებ. ვგრძნობ ჩემს ყოველ კუნთს, ძარღვს, სირბილეს და სილბოს. წამნამებს შორის მოხვედრილი მზის მომწვანო შუქი მაფხიზლებს. ვიღვიძებ სიცოცხლით სავსე და ყურში ჩურჩულად მესმის დაბალი ტონალობის ხმა: „ის, ვინც გუბნება, მიყვარხარო, ღამის სევდიანი გულია...“

სიამოვნებით ვუსმენ ხმას და მერეღა ვაცნობიერებ, რომ უცხო ენაა, რომელიღაც ტკბილი მუსიკის მსგავსი. ვარდისა და დარიჩინის სურნელით იფლნთება ჩემი სხეული და მზით სავსე ზღვის გამჭვირვალე ტალღებში ვლივლივებ. მახსოვს, რომ მყავს ადამიანი, რომელთანაც ვიზიარებ ყველა სიხარულს და დარდს. ვისთანაც დანებები და მშვენიერების სიხარულით ივსება ისედაც მშვენიერი ჩემი სხეული. მახსოვს, რომ სრულიად მარტო ვარ სამყაროში და მაქვს უნარი, ეს მარტოფოფი დაღესასწაულად ვაქციო.

კიტი ნავიდა. ნავიდა ზუსტად ისე, როგორც მუდამ ხდება. ყოველთვის ყველა მიდის და გიტოვებენ იმ ფუფუნებას, რასაც მარტო შენ თავთან დარჩენა ჰქვია.

ბუნებრივია, კიტი მომენატრება. თუმცა, იმასაც ვაცნობიერებ, რომ ჩვენს ამ ჯადოსნურ ღამეს გაგრძელება არ ექნებოდა. ასეთი ემოციები არასდროს მეორდება.

Le vert Menthe

ალარ თოვს. ყინვას თავისი პორტრეტები მიუხატავს ფანჯრებზე. ბავშვობის შემდეგ არც მინახავს ასეთი სურათები. ყინვა მიხატულმა ფანჯრებმა თავისით წამიყვანა წარსულში და ისეთი ხატებები ამომაქექინა, რომლებიც უკვე ბევრი წელია, არც დამსიზმრებია.

გამოვიარე ყველა წელიწადი და დრო, ყოველი დღე და წუთი, ყოველი მარადისობა. ვისიც რა მემართა, ყველას ყველაფერი დაგუბრუნე. სიყვარული ვარიგე და დავრჩი სრულიად დედამიწაზე. ზუსტად ისეთი, როგორც მოვედი ამქვეყნად.

მერე ბოლო კოლოფი გავხსენი. ღვინისფერის, ოქროს და ცისფერის. ამ ჩაის უდაბნოს მომთაბარენი აუცილებლად შემოგთავაზებენ, მათ სიახლოვეს თუკი ჩაივლი და დაუფიქრებ მასპინძლობას გაგინევენ ჩაის სმის რიტუალით. შავი და მწვანე ჩაი მსუბუქი პიტნით. სამი ჩაი გამოხატავს სიცოცხლეს, სიყვარულს, სიკვდილს. სამივეს ერთმანეთთან შერევით...

თუ არ გეყვარება, ვერ იცოცხლებ; თუ არ იცოცხლებ, ვერ მოკვდები; თუ არ მოკვდები, ვერ შეიყვარებ.



მიხაილ სემიანოვიჩი ჩემი კარის მეზობელი იყო; და არამარტო მეზობელი, მასწავლებელიც. რუსულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა. როცა მე საყოველთაო საშუალო განათლების მწვერვალს ვუახლოვდებოდი, სემიანოვიჩი კარგახნის გადამდგარი იყო პედაგოგობიდან, მაგრამ ოთხმოცს მიტინებულს ისევე მოუხმეს სკოლაში ფორსმაჟორიდან გამომდინარე — ყოფილ მასწავლებელს, გასათხოვარ ასაკიდან თითქმის გამოსულ ქალბატონს, უეცრივ ბედი გაეხსნა და ვადების დაცვით დაფხმძიმდა კიდევ. გადკრეტებულიც კარგი მასწავლებელი იყო, სასიამოვნო კარგეგნობის, მაგრამ ერთობ არასასიამოვნო ჩქმეტა იცოდა ლოყაზე და კიდევ უმოწყალოდ — თმების ამოძირკვა საფეთქლისა და კისრის არეში. ამდენად, მონაფეები ახალი კადრით არ დავრჩენილვართ უკმაყოფილონი. მიხაილ სემიანოვიჩს, რომელსაც თადარიგის გენერალივით კვლავ მოუხმეს ბრძოლის ველზე, ოდნავადაც არ აინტერესებდა ჩვენი ლოყა-კინკრიხი, მგონი, საერთოდაც ვერ ამჩნევდა. არც უკითხავს, სად გაჩერდით პროგრამულად, რა გვექონდა გაკვეთილი, რა გვიღიზნებდა, რა გვიჭირდა, პირდაპირ გოგოლის „შინელს“ მიადგა და აქ შეჩერდა კიდევ, მთელი წელი აკაკი აკაკიევიჩის ძველ და ახალ შინელში ვიყავით გახვეულინი. გვასწავლიდა ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, აბზაც-აბზაც; ჩვენც რა გვექონდა საინააღმდეგო... მე თოდიკა მისაღები იყო.

„შინელი“ არ ყოფილა მიხაილ სემიანოვიჩის ერთადერთი გატაცება, იგი წრეგადასული მოთაყვანე იყო ქართული სუფრისა და ალკოჰოლისა. როგორც გადმოცემა გვაუწყებს და რეალობაც მოწმობდა, სემიანოვიჩი მომეტებული სიმპატიით იყო გამსჭვალული „პილატეს ცრემლებს“ მიმართ, თუმცა არასდროს უთქვამს უარი არცერთი სახის სითხეზე, რომელიც სპირტს შეიცავდა. მისი საყვარელი ფრაზა გახლდათ: „დამისხით ერთი ასი...“ ქართული სუფრისადმი გახსნილი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მიხაილ სემიანოვიჩი დროის უმეტეს ნაწილს სასმისით ხელში ატარებდა, ან სტუმარი იყო, ან — მასპინძელი. სუფრა იყო მისი სტიქია, აღმაფრენის ალაგი — სულით და ხორციით ილხენდა, ენამზებოდა, სიტყვა-უხვობდა, ლექსობდა, მღეროდა, დემამიშვილებსა თუ სტუმარი მანდილოსნების სადღეგრძელოს ისტორიულ-ლიტერატურული რეალიებით აზავებდა. გაკვეთილისაგან განსხვავებით, სუფრასთან მკაცრი და კატეგორიული გახლდათ, სმენასა და გაგონებას ითხოვდა. როცა მას ხელთ ჭიქა ეპყრა, დიდი და პატარა უნდა გასუსულიყო.

მოკლედ, მიხაილ სემიანოვიჩი სუფრიდან სუფრაზე ტრიუმფით მოგზაურობდა, თუმცა შიგადაშიგ წარუმატებლობაც სდევდა თან. ეს გახლდათ მისი თანამეცხედრის, ტასიას, გამოჩენა სუფრის მიმდებარე ტერიტორიაზე. მხოლოდ ეს ბარიერი იყო მისი შემაბრკოლებელი. დაქვრივებული ტასია მოგვიანებით შეერთო ანალოგიურ სიტუაციაში ჩავარდნილმა სემიანოვიჩმა. შვილი არ ყოლიათ. სემიანოვიჩის შვილები, პირველი ქორწინებიდან, სხვადასხვა ქალაქში იყვნენ გათხოვილები და მამას და დედინაცვალს იშვიათად სტუმრობდნენ, მეტწილად, ზაფხულობით. ტასია ბოლშევიკური სიფხიზლით

იცავდა მენშევიკი ქმრის (ამის თაობაზე ცოტა ქვემოთ) გონების დაბნელებას. თუმცა ტასიას მედგარი წინააღმდეგობა არცთუ იშვიათად წარუმატებელი გახლდათ, რადგან არ არსებობდა ბუნებაში ძალა, რომელიც სემიანოვიჩს უდროოდ მოწყვეტდა სუფრიდან. ამიტომაც არაქათგამოცლილ ტასიას ერთი ფუნქცია რჩებოდა — ხშირად ვყოფილვარ მოწმე სცენისა, რომელიც ძალზე წააგავდა ბატალური ფილმისას: ტასიას ისე გაჰყავდა ქეიფის ტერიტორიიდან გადამთვრალი მეუღლე, როგორც ბრძოლებში გამობრძმედილ მეომარს გაჰყავს ხოლმე მსუბუქად დაჭრილი წინა ხაზიდან. ტანდაბალი ქალი ბრგე სემიანოვიჩს მხარში შეუდგებოდა და სახლისაკენ მიაბანცალებდა. ასეთი სურათი კი იშვიათი და გამონაკლისი არ გახლდათ; სემიანოვიჩს მტკიცე ჩვეულება ჰქონდა, კერძოდ, ჭამა-სმამი ზომა-წონას არ ცნობდა. მისი ტაქტიკა უცვლელი იყო: შეტევა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ეს ტაქტიკა საკუთარ სახლში არ ჭრიდა, რადგან იქ უკვე ტასია განსაზღვრავდა მკაცრად დოზირებას. მიხაილ სემიანოვიჩი ძუნწი არ იყო, მაგრამ

თამაზ ხარაიშვილი

კარის მეზობელი



შინ კონტროლირებადს, სხვისას შეუზღუდავი მოლხენა ერჩია.

მოკლედ, კარის მეზობელი იყო და ხშირად გვსტუმრობდა, ნაბახუსევი უთენია დაგვადგებოდა თავს და ბებიაჩემს მუდარანარევი ხმით ეტყოდა: „მარია, მომავლელ ერთი ასი...“ ბებიას არც მისთვის და არც არავისთვის სასმელი არ ენახებოდა, შეავსებდა თოლილ ჭიქას ცეცხლივით სასმელით და მიხაილ სემიანოვიჩის მოცახცახე ხელს გადააბარებდა. ხელის პატრონიც დაუხანებლად, ასაკისათვის უჩვეულო სიმკვრიველით გადაუშვებდა ხახამი და მხოლოდ ამ მოქმედების მერველა იტყოდა: „ეს მწარეა, თქვენ ტკბილად იყავით.“ „მიხაკო (ასე მოიხსენიებდნენ თანატოლები), დასაყოლებელი?“ — ყასიდად, მოვალეობის მოხდის მიზნით ჰკითხავდა ბებია, რადგან პასუხი წინდანი იყო ცნობილი; „დასაყოლებელი, როზგი ზურგზე“, იტყოდა უაღრესად კმაყოფილი, პირზღვიმღვადაფენილი სემიანოვიჩი და გაუტევა სკოლისკენ.

ერთხელაც მისი მორიგი ვიზიტი ერთობ წარუმატებელი აღმოჩნდა — ბებიას

არაყი გათავებოდა. აქეთ ბებია შეწუხდა, იქით — სემიანოვიჩი. ბებია მალევე გამიოვიდა მდგომარეობიდან, სემიანოვიჩი კი ნერვიულად წრიალებდა, მისი სახე ერთდროულად გამოხატავდა შეცბუნებას, იმედგაცრუებას, სასონარკვეთას, შექმნილი უძძიმესი სიტუაციიდან გამოსვლის გზის დაუოკებელ ძიებას. მონდომებამ და სურვილმა მინც თავისი გაიტანა და აპოვინა მეტნაკლებად ოპტიმალური გამოსავალი. და აქ მე დამეკისრა არამცთუ საპატო, ერთგვარად საჩოთიროდაც მისაჩნევი მისია. „გავარდი ერთი, თუ კაცი ხარ, ტასიასთან და ესეხე ნახევარი ლიტრა არაყი, ექნება სადმე გადაცხვსკნელებული“... შექმნილი განსაკუთრებული ვითარებიდან გამომდინარე, დავალების გამცემი ნ-ჯერ და მეტჯერ უფროსი იყო, თანაც საყვარელი მასწავლებელი, მეც გავექნდი ტასიასთან ცარიელი ბოთლით ხელში და შესაბამისი განცხადებით მივმართე: „მიხაკიეა (ასე ფამილარულად მხოლოდ ტასია მოიხსენიებდა თანამეცხედრეს) ხომ თქვენთან?“ მშვიდი და რიტორიკული ფრაზა იყო, აღმოებული გაგრძელებით, „ცეცხლი დალია და ნაღვერდალი დააყოლა!“ რადგან კითხვა

რიტორიკული იყო, ტრადიციული გაგრძელებით, პასუხისათვის დრო და სიტყვა აღარ დამიხარჯავს, ეგ იყო გულში გამეცინა. ჩემი „შინელის“ მასწავლებელი ნაღვერდალს და მუგუზალს კი არა, კვერცხმოსმულ კეცის ხაჭაპურს არ აყოლებდა არაყს, რათა ბოლომდე შეეგრძნო და შეეტკებო სასმელის მადლი. ტასიას ცოტა შეავგვიანდა, სანამ „ქვესკნევიდან“ დაბრუნდებოდა. როგორც ჩანს, სემიანოვიჩის მხრიდან არცთუ ძნელად სავარაუდო და მოსალოდნელი თავდასხმის შიშით ისეთ საიმედო ადგილას ჰქონდა სასმელი გადამალული, სადაც მისი თანამეცხედრის გაფაქიზებული ყნოსვაც კი ვერ წვდებოდა. რამდენიმე წუთის დაყოვნებით მივბრუნდი წარმატებული ვიზიტის შემდეგ სემიანოვიჩის დისლოკაციის ადგილას. მაგიდას უჯდა, თამბაქოსაგან გაყვითლებულ თითებს მაგიდის ძგედზე აკაკუნებდა, ნერვულ სისტემას ანესრიგებდა, თან დრო გაჰყავდა. თუმცა სანერვიულო აღარაფერი იყო, თამამმა და არაორდინარულმა გადანყვეტილებამ — სასმელი საკუთარი მეუღლისაგან ესესხა — ნაყოფი გამოილო. თანაც სესხის გასტუმრება იმ ტერიტორიის მფლობელის ვალდებულება იყო, საიდანაც სესხება განხორციელდა. სემიანოვიჩის დაუნერვლი მორალური კოდექსი ასე არეგულირებდა საკრედიტო პოლიტიკას. თამბაქო ვახსენეთ და ნიკოტინიც მის სუსტ მხარეს წარმოადგენდა — გამოდმებით ეწოდა, ეწოდა ყველა მდგომარეობაში, ეწოდა შავი, მოკლე მუნდშტუკით, ეწოდა მხოლოდ და მხოლოდ „პრიმას“, რომელსაც სოფლის დუქანში ყიდულობდა დასტებად და ბადურა ჩანთით მიპრონიალებდა სახლისაკენ. სხვა ხელბარეგან ტვირთი მის ხელში არც შემინიშნავს. პაპიროსი სულ ჰქონდა, უიშვიათეს გამონაკლის შემთხვევაში, შესვენებაზე, უფროსკლასელ ბიჭებს მიადგებოდა, აბა, ერთი უფილტრო მომანევიანეთო. სივარეტი ბევრს ჰქონდა, როგორც წესი, წინდის ყელში დამალული, მაგრამ, უფილტრო — არავის. განზილებული მიხედ-მოიხედავ-

და და მორიგ დავალებას გასცემდა: გრამიტონას ბიჭი მომიძებნეთ, მაგას თუთუნო ექნებაო. ეს გრამიტონას ბიჭი ორ-ორი წელი იჯდა თითო კლასში და მასწავლებლობა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მონაფეობა. მე-6 თუ მე-7 კლასში სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვეყის უწყებაც კი მიიღო. ჩვენ ჯერ ლინლიც კი არ წამოგვზრდოდა სახეზე, ის კი წვერულვამს სოფლის სადალაქოში იპარსავდა. შესვენებებს გრამიტონას ბიჭი მამაკაცთა ტუალეტის ერთ-ერთ უჯრედში ატარებდა და ამ უჯრედიდან კი მუქი ლურჯი, მწკლარტე ბოლი გამოდიოდა. ასაკში შესული მონაფე შესვენებას აქ ატარებდა ნებიერად, ანუ ახრჩოლებდა შინაურ თუთუნს. მალე იგივე სურნელი სკოლის მთელ შენობაში დატრიალდებოდა, ეს უკვე სემიანოვიჩი დააფუტებდა ნაბობარ თუთუნს. გრამიტონას ბიჭი ალალი იყო და თავისი სოლიდარული „კაბინეტიდან“ უხვად გასცემდა მოწყალებას. და კიდევ... გრამიტონას ბიჭი მიხაილ სემიანოვიჩის „თხილის სამემოდგომის“ უცვლელი და ღირსეული წვერი იყო. კერძოდ, საქმე ის გახლდათ, რომ სემიანოვიჩს მოზრდილი სათხილე ჰქონდა. ათლეტური აღნაგობის ორსნეზი სამემოდგომო გამიცვდას ავგისტოს მიწურულს პირდაპირ სემიანოვიჩის სათხილეში აბარებდნენ. მათაც არაფერი ჰქონდათ საინააღმდეგო — აკაკი აკაკიევიჩის ბედკრული ცხოვრების გაზუთხვას, „ბერძნულა და ტყიურა თხილის“ კრეფას ამჯობინებდნენ. მე თხილის სამემოდგომო არასდროს გამომყოლია, მაღალი კი ვიყავი, მაგრამ მეზობელი გახლდით მიხაილ სემიანოვიჩისა, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული ჩემი შრომითი უნარ-ჩვევების თაობაზე. თავადაც არ სწყალობდა ფიზიკურ შრომას. ერთადერთი, რაც იტაცებდა, ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება იყო. დაბლარი ვენახი ჰქონდა, უძველესი და უიშვიათესი ჯიშისა. სემიანოვიჩის „ჯანი“ მთელ ჩვენ მხარეში განთქმული იყო, მაგრამ მისი რეალიზაციის სადავეები ტასიას ეპყრა ხელთ. თუ სტუმარი ეწვეოდათ, სემიანოვიჩს სათითურივით პატარა ჭიქას დაუდგამდა წინ, სტუმარს კი — მოზრდილს, რაზეც სემიანოვიჩი აღფოთებდა ვერ მალავდა: „როგორ, კაცო, ჩემი ღმერთივით „ჯანი“ ვილაცამ თლილი ჭიქებით უნდა სვას, მე კიდევ — პენიცილინის ბოთლით?!“ უშედეგო პროტესტი იყო, ტასიას უმკაცრესი კანონები ჰქონდა, მით უფრო, საკუთარ მოედანზე.

სემიანოვიჩის სათხილეს კიდევ ერთი დიდი ლეღვის ხე იდგა, უგემრიელესი შავლეღვა. ჰოდა, ამ შავლეღვას ერთი მეზობლის ბიჭი ეტანებოდა ნამეტნავად. ნევრო ერქვა, მაგრამ მოშობელი დედაც არ იხსენიებდა ამ სახელით, ყველა პაჭუნად უხმობდა, რადგან საუბრისას თვალის მოჭუტვა იცოდა. კიდევ ის იცოდა სწავლული აგრონომივით, ვის ეზოში რა ხეხილი იყო და რა როდის მნივნიდა. ჩვენს სამეზობლოში ყველა სახის ხილის ნაყოფზე პაჭუნას ჰქონდა „პირველი ღამის უფლება“, რა თქმა უნდა, თვითმინიჭებული. თუმცა ეს „პირველი ღამე“ შეუზღუდავი იყო, გვიან შემოდგომამდე, ანუ რესურსის სრულ ამოწურვამდე გრძელდებოდა. ნებართვა და ვიზა-დასტური არ სჭირდებოდა, მიიჩნევდა, რომ ჩიტის ნაირსახეობა იყო და შექმლო, ყველა ხეზე დაფრენილიყო და დამტკბარიყო. არც სემიანოვიჩის შავლეღვა იყო გამონაკლისი, დილაადრიან სტუმრობდა ხეს და მნივლეღვით გაპიპინებულ ლასლასით ბრუნდებოდა სახლში გამოსაძინებლად. ითმინა, ითმინა სემიანოვიჩმა და ველარ მოითმინა. ერთ დილით, როცა მნივლეღვები პირწმინდად გაკრეფილი დახვდა, მიადგა პაჭუნას, ლეღვის და, საერთოდ, ყველა ხილის ქურდის, სახლს. ამ ვიზიტით პაჭუნას მამა, გივი, დიდად გაკვირვებული არ დარჩენილა, უწყობდა მისი შვილის პირუწკობის ამბავი. გივიმაც გულისყურით, მშვიდად მოისმინა ლეღვის მეპატრონის ულტიმატუმი და დიდხანს არ უფიქრია და შორსაც არ წასულა, მყისიერი გადანყვეტილება მიიღო, იქვე მიატეხა თხილს თითის სიმსხო ტოტი, გულდაგულ გასხება და სახლში შევიდა. იქედან ჯერ გამოისმა ზმუილი, რომელიც შემდეგ ღმუილში, ხოლო ბოლოს ყმუილში გადაიზარდა. მალე გივიც გამობრუნდა, ხელში შუაზე გადატეხილი ნკებლით, ჩანდა, იარაღმა





უმტყუნა. რამდენიმე წამში ფანჯარაში კი პაჭუნამ გამოყო გადახორცილი თავი, მაიმუნის უკანალივით განითლებულ სახეზე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა, უშუალოდ პედაგოგს ვერ შეჰკადრა და მამამისს მიატერა: „ლეღვის ქამა თუ უნდა, ადრე უნდა ადგეს და ჭამოს, მე ვუშლი?!“ სემიანოვიჩი, გივის რეპრესიული მეთოდოლოგიით შენუხებული, უკვე თითქმის ჭიშკართან იყო მისული, პაჭუნას გამოსვლას რომ მოჰკრა ყური, სწრაფად მობრუნდა და ლეღვის ქურდს ბრაზიანად გასძახა: „შე პლურტო ყაზახო (ეს იყო ყველაზე ცუდი სიტყვები მის ლექსიკონში), შენ უნდა დამიკანონო მე, მიხაილ სემიანოვიჩს, როდის ვჭამო ჩემი შავლეღვა, დილით თუ ნასადილეღს?!“ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კიდევ ერთხელ შებრუნდა და მავედრებელი ხმით გასძახა ლეღვის მათხარს: „სახვალიოები მაინც დამიტოვე, შე ღმერთგამწყრალო, ტასიას მურაბის მოდუღება უნდა.“ კი გასძახა, მაგრამ დარწმუნებული იყო, არავინ შეისმენდა.

მიხაილ სემიანოვიჩი, მეტადრე სიფხიზლისას, ერთობ მოწესრიგებული, როგორც გურიაში იტყვიან, „აკურატინი“ კაცი იყო — მუდამ გაპარსული, დაბანილ-დავარცხნილი. ამდენად, თავადაც დიდ ყურადღებას აქცევდა გარემომყოფთა სანიტარულ-ჰიგიენურ პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია ერთი უბიზოდი მისი ცხოვრებიდან: ჩვენი საერთო მეზობელი ავადმყოფობას ლოგინოდ ჩაეგდო. მოჰკრა თუ არა ყური ამ ინფორმაციას, სემიანოვიჩი ციმ-ციმ გაემართა ავადმყოფის, გურულთა ენაზე, უნდომის მოსანახულებლად. ცოდვა გამხელილი სჯობს, და მხოლოდ ეს ინტერესი არ შეადგენდა სემიანოვიჩის ვიზიტის განმაპირობებელ ფაქტორს, იგი სხვა, ცოტა ქვენა, იმპულსებსაც მოიცავდა — მნახველს ავადმყოფის დასალოცად ერთ-ორ ჭიქას მაინც შესთავაზებდნენ. მოკლედ, რამდენიმე წუთში სემიანოვიჩი ავადმყოფის სასთუმალთან იყო გამოჭიმული. მან უყურადღებოდ გამოიკითხა სნეულის ავადმყოფობის ისტორია, სამაგიეროდ, გულსყურით ადევნებდა თვალს ჭირისუფლის მოქმედებას. ყველაფერი გეგმიურად მიდიოდა — პატარა ტაბლა მეთოდურად შეივსო მჭადით, ყველით, მწნილით, მწვანით. რაც მთავარია, დაცვარულ გრაფინში მოელვარე შავ-ნითელა ადისით. შემდეგ კი გაისმა ხმასუსტი, მაგრამ დიდი შინაარსით დატივრული თხოვნა მასპინძლისა: „მიირთვი, სემიანოვიჩ, სუფთა წვენი, ამ ფეხის ქვეშ მაქვს გამოღებული.“ ამ სიტყვებზე ავადმყოფმა, იგივე უნდომმა, საბნიდან გამოყო გალუული, მოცახცახე, საეჭო შეფერილობის, მთელი მისი დღე და მოსწრება ჩექმაში ნაცხოვრები ფეხი. სიტყვათმზადებული, ჭიქაშემართული სემიანოვიჩი დააკვირდა ფეხს, დაამტერდა როგორც უცხო წარმონაქმნს და მისი შეფერილობით შენუხებულმა ძლივს ამოღებდა: „მაგი

არ გეთქვა, ბუჯო, ერთ-ორ ჭიქას რავა არ დავეღვი.“ დადგა სავსე ჭიქა და დურთა თავი კარში.

არის გურიაში ერთ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ძველით ახალ წელს აღინიშნება, „კალანდობა“. ამ დღესასწაულს გამორჩეული ადგილი ეკავა სემიანოვიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში და იგი განუხრელად უკავშირდებოდა საკლანდო ღირსი დაკვლის ცერემონიალს. კალანდის წინა და მომდევნო დღეებში ჩვენს სამეზობლოშიც ამ, ერთი შეხედვით, უწყინარი ოთხფეხის მოდგმას „ბართლომეს ღამე“, უფრო სწორად, დილა უთენდებოდა. სემიანოვიჩი იქ იყო, სადაც ღირსის განწირული ჭყვიტინი გაისმოდა. ჩემი მეზობლები ამ მისტიურ-ბარბაროსულ აქციას მონაცვლეობით ახორციელებდნენ, რათა კალანდობა რამდენიმე დღეს განელოდყო და შესაბამისად გახანგრძლივებულიყო ყაურმასა და სუკის მწვადებზე, სხვა მიმყოლ-მომყოლზე ქეიფი. ყოველ უბანში არის პროფესიონალი ქილერი, დაოსტატებული ღირსის წესის აგებაში, გასუფთავებასა და აქნა-აჩარიქებაში. „კალანდის“ დღეებში მიხაილ სემიანოვიჩი ყველგან და ყოველთვის საპატიო სტუმარი გახლდათ: ბევრგან — დაუპატიუბული, არცთუ იშვიათად — დაუპატიუბელი, თუმცა ამ გარემოებას ქეიფის ნდობა-წადილით შეპყრობილი სემიანოვიჩი იოტისოდენა მნიშვნელობას არ ანიჭებდა, არც ღირსის განმენდა-გაპატიოსნებაში მონაწილეობდა, იჯდა შემთხვევის ადგილიდან განკერძოებულად, მაღალ ხის ჯორკოზე, ფეხებგაჩაჩხული, აბოლებდა „პრიმას“ და გაფაციცებით ადევნებდა თვალს მკვლელ-მშიგნელთა საქმიანობას. თუმცა, შიგადაშიგ, პროცესი გახანგრძლივებული ეჩვენებოდა და მოთმინებადღეული ქილერებს გასძახებდა: „დაურქარეთ, დაურქარეთ, ბიჭებო!“ შემდეგ კი საბოლოოდ მოთმინებადაკარგული ნოვატორული წინადადებით შემოდიოდა: ჯერ გულ-ღვიძლი და სამწვადე ამოაცალეთ და მერე მიხედეთ სხვა პროცედურებსო. ყველას ეცინებოდა მოხუცის სულწასულობაზე, მაგრამ მისდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, წესსა და რიგს სემიანოვიჩის ახირების მიზეზით ვინ გადაუხვევდა! რა ექნა ჩვენს გმირს?! ექსპანსიური გულშემატკივრის პოზაში იჯდა ტაბურეტზე, შფოთავდა და წრიალებდა, წრიალებდა და შფოთავდა... გაგანია სადილობისას ყველაფერი მზად იყო და სემიანოვიჩიც თავისი ტაბურეტით ბუხრის წინ გაშლილ სუფრას ლაღად მიუჯდებოდა, ცოტა ხანში არემარეს მოეფინებოდა მისი ხრინჩიანი ბარიტონი: „დამისხი, დამალე ვინე, ეს ღვინო ოხერ-ტიალი...“ არიას დაისამდე და კიდევ უფრო იქით ბარე 10-ჯერ შეასრულებდა. რაც მართალი, მართალია, სოლისტს არც სმენა ჰქონდა სანაქებო და არც — ხმა, ამიტომაც ამყოლი და მიმდევარი ნაკლებად გამოუჩნდებოდა. ამისდა მიუხედავად, სიმღერას რომ ჩაათავებდა, სახელაუღაუბელი, კმაყ-

ოფილებამორეული გადახედავდა თანამეინახეებს და ამაყად იტყოდა: „ვენაცვალე სიმონიკასა და ელცაბედს (ელისაბედი გურულთა ენაზე) ჩემისთანა ბიჭის გაჩენისათვის“. ბოლოს კი ტრადიციული ცერემონიალი — ტასიას ნაკლებადმოულოდნელი ვიზიტი — ანუ სემიანოვიჩის მოკითხვის ჩვეული რიტუალი და ტრადიციული ხვეწნა-მუდარა: მიხაკო, წამოდი სახლში, გეყოფა, მაინცდამაინც უნდა გასკდე?! დალამდა, დაბნელდა, წამო, სანამ მთვარეა. რასაც მოყვებოდა მიმართვის ადრესატის ბრაზიან-დარდიმანდული შეძახილი: მაცალე, ქალო, ცხოვრება! და ისევე ქალის მუდარა: წამო, მიხაკო, „შინელი“ წამიკითხე (როგორც ჩანს, გოგოლის ეს თხზულება ტასიასაც ჰქონდა მისჯილი, თანაც ქართული სინქრონით, რადგან რუსულის ინი-ბინჩი არ იცოდა). და რადგან სახალხო დიპლომატიის აპრობირებული ხერხები აღარ სჭრიდა, ტასიაც იძულებული იყო, ძალისმიერი, რადიკალური ზომებისათვის მიემართა, ჯიკავ-ჯიკავით გაჰყავდა გადატივრული მეუღლე ღირსის ქელეხიდან. სემიანოვიჩიც მაინცდამაინც აღარ უძალიანდებოდა, დარწმუნებული იყო, ხვალაც მძიმე დღე ექნებოდა... ტასიას გადაკიდება კი სამომავლო საქმეს არ წაადგებოდა...

სემიანოვიჩის პოლიტიკა და სხვა მონათესავე თემები არ აინტერესებდა, ტელევიზორში მხოლოდ ფეხბურთს უყურებდა, თანაც მხოლოდ თბილისის „დინამოს“ თამაშებს. „დინამო“ რომ უტევედა, ლამის ტელევიზორში შემძვრალიყო, თითქოს თვითონაც ერთვებოდა შეტევაში. ფეხბურთის საყურებლად ჩვენთან გადმოდიოდა. ტელევიზორი მას არც არასდროს ჰქონია. ერთხელაც ვსხედვართ და ველოდებით „დინამოს“ თამაშის დაწყებას, სემიანოვიჩი უკვე მღელვარებს, პაპიროსს პაპიროსზე ეწევა, მოვიდა დათქმული დრო და უეცრად ფეხბურთის ნაცვლად დაიწყო საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ სპეციალური გამოშვება, რომელიც ვლადიმერ ლენინის მერომელიცე დაბადების დღეს ეძღვნებოდა. მივხვდით, რომ მოგჭამა ჭირი ფეხბურთმა. ზის სემიანოვიჩი გაქვავებულივით, თითებშუა დავინყებული „პრიმა“ ხრჩოლავს. და უცებ მე და ბებიაჩემმა, რომელსაც გულშემატკივრობას ვერ დასწამებდი, მაგრამ ტელევიზორთან ჯდომა მოსწონდა, გავიგონეთ ის, რასაც ისევე არ ველოდით, როგორც ცის გახსნას. კი, ნამდვილად გავიგონეთ, თუ როგორ გამოსცრა კბილებში სემიანოვიჩმა დაუჯერებელი და მისგან არგასაგონი ფრაზა: „ლენინს დავაჯვი თავზე...“ ასე უწმინაურად გახმოვანებული ქვეცნობიერის შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მძიმე სიჩუმე... თითქოს ტელევიზორის ხმაც მიწყდა. თვალი გავაპარე სემიანოვიჩისაკენ. ის ტელევიზორს აღარ უყურებდა, ფანჯრისკენ მიბრუნებულიყო და სადღაც, გურია-აჭარის მთებს იქით, შორეთს გადალპა რომ შორეთია, იქ

ჰქონდა მზერა მიბჯენილი. რამდენიმე წუთს გაქვავებულივით იჯდა, შემდეგ როგორც ჩანდა, ანთებულმა „პრიმამ“ თითებამდე უწია, პაპიროსი საფერფლეს მიაჭყლიტა, წამოდგა, ჩვენსკენ არც გამოუხედია, ისე წაიბუტბუტა: „ცუდი რამე წამომცდა, ძალიან ცუდი, ბოდიშს ვიხდი, ბოდიშს ვიხდი...“ და წავიდა, ვისხედით მე და ბებია გოგნებულები... მისი პირიდან ერთი ღერი უწმინური სიტყვა არ გაგვეგონა და მოულოდნელობისაგან ვიყავით ენაჩავარდნილები. ბოლოს ბებია ამოიღო ხმა: „დედა, რა თქვა აგი მიხაკომ?! რაცხა დიდი დანაშაული აქვს ლენინს მაგასთან ჩადენილი, თვარა ასე არ გეიმეტებდა. ეტყობა, მართალს ამბობდნენ მაგაზე, ახალგაზრდობაში მენშევიკი იყო.“ მართალია, მე და ბებია ადვილად გადავიტანეთ მარქსიზმ-ლენინიზმის კრახი, მაგრამ მიხაილ სემიანოვიჩი ძლიერ განიცდიდა ჩვენი თანდასწრებით პროლეტარიატის დიდი ბელადის თავზე თავლაფ და უარესის დასხმას და კარგა ხანს სათოფზე არ ეკარებოდა ჩვენს ტერიტორიულ წყლებს. ერთ დილით გამოგვეცხადა. მე და მამაჩემი არაყს ვხდიდით. მამა იურისტი იყო, მაგრამ იურისპრუდენციანზე არანაკლებ პროფესიონალი ამ საქმისა. აფორიაქებული იყო სემიანოვიჩი, შეუშვინა რკინის ტოლჩა არაყს და სულმოუთქმელად გადაჰკრა. მერე მამაჩემს მიუბრუნდა: „ბიჯო, ჩემი კბილა რომ იყო ტოლსტოი, ცხენს აჯირითებდა, შეშას აპობდა, ყანას მკიდა, ჯანზე იყო, ერთი 5 წელი ფეხებით რომ დამკიდონ, მაინც გავეძლებ, იმან ვერ გაძლო.“ კიდევ შეუშვინა ტოლჩა ცხელ არაყს და კიდევ ერთხელ გადაჰკრა, მიტრიალდა და ფენათრევით გაუყვა შინისაკენ. ვერ ვეასრულა ნათქვამი, ერთი წელიდა თუ იტოცხლა, მაგრამ ისე, ძველდურად, მამა-პაპურად, ქეიფ-ქეიფ. სიკვდილმაც ნასვამს უწია, როგორც მოსალოდნელი იყო. მოკლედ, შეირგო ერთი ურემი ნიკოტინი და რამდენიმე ცისტერნა ღვინო და არაყი. საფლავეში სათვალე, სავარცხელი, ერთი კოლოფი „პრიმა“ და მუნდშტუკი ჩააყოლეს. ჩემი ვარაუდით, გოგოლის „შინელიც“ იქ უნდა ყოფილიყო. მინდოდა მეთქვა კიდევ, მაგრამ ვერ გამიგებდნენ. მალე ტასიაც მიჰყვა. ახლა ერთად განისვენებენ შათირის სასაფლაოზე გიგანტური ნაძვების ქვეშ. იქვე არიან დაკრძალულნი მამაჩემი და ბებიაჩემი, ლეღვიპარია პაჭუნის მამა გივი, შავფეხა შალიკო და სხვები, ათობით ჩვენი მეზობელი... ორი-სამი თობა... აღდგომასა და სხვა დღეებშიც, როცა სასაფლაოზე გავდივართ, როგორც წესი, სემიანოვიჩის საფლავეზე ნავუტკევთ ხოლმე თითო ჭიქას. ნაღვლად სამადლო საქმეა. ალბათ, რომ კვდებოდა, ყველაზე მეტად სასმელთან გამოთხოვება ეძნელებოდა. თუმცა შესაძლოა, სამოთხეშიც კი მოხვდა და ყოველდღიური შემწეობა — ხელადა ღვინო — დაიმსახურა კიდევ... ვინ იცის?!





მთარგმნელი

ლანა კალანდია

ლანა კალანდიასთან ინტერვიუ „ლიტერატურულ გახეთში“ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა, იგი ყველგან იმ მწერლებსა და ნიგნებს, როლებზეც იმუშავა...

— „ქალაქი და ძაღლები“ ლიოსას პირველი რომანია, მანამდე თქვენ მისი ორი მნიშვნელოვანი ნიგნი თარგმნით...

— გამოცემლობა „ინტელექტი“, უკვე რამდენიმე წელია, თანამიმდევრულად გამოსცემს პერუელი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას ქართულ თარგმანებს...


— საინტერესოა, მარიო ვარგას ლიოსას პირველი მხატვრული ტექსტი რით განსხვავდება მისი მომდევნო რომანებისგან...

— მართალია, ლიოსას შემოქმედების დასაწყისშივე გამოიკვეთა ის ძირითადი თემები, რომლებსაც მწერალი მომდევნო რომანებშიც დაუბრუნდა...

— დიდი ხანი მუშაობდით ტექსტზე? — რომანის თარგმნა სექტემბერში დავიწყე და, დაახლოებით, აპრილში დავასრულე...

— თქვენ კარგად იცნობთ ლიოსას შემოქმედებას, ამიტომ გვითხარით, ენობრივი თვალსაზრისით, რა სირთულეებს „უქმის“ ლიოსა თარგმნელებს?

ლი მწერლების, განსაკუთრებით კი ფოლკნერის გავლენა იგრძნობა. ამას არც თავად უარყოფდა და მიუთითებდა სხვა მწერლებზეც...



მოსერილი ადამიანები 16-17 წლის ახალგაზრდები არიან, არც განათლება აქვთ და არც მეტყველების კულტურა — უხეშად, ველურად საუბრობენ...

— „ქალაქი და ძაღლების“ გამოცვლას დიდი პროტესტით შეხვდა ლეონისო პრადოს სამხედრო სასწავლებელი...

— უნდა აღინიშნოს, რომ „ქალაქი და ძაღლები“ „ინტელექტმა“ ერთი სერიის ქვეშ — „აკრძალული ნიგნების თარი“ — გააერთიანა...

ელმწიფოების დაკვეთით დაწერილ ნიგნად მონათლეს და მისი გავრცელება აკრძალეს. ნიგნმა იმ გამოცემების ბედი გაიზიარა...


— ნიგნი პერუში გამოიცა? — ნიგნი ბარსელონაში გამოიცა, თუმცა იქაც, ესპანეთშიც, რომანის გამოსვლის დროს ფრანკო ცოცხალი იყო...



ბარსელონაში გამოიცა „ქალაქი და ძაღლები“ და შემდგომ რეაქცია მოჰყვა პერუში...

— მანამდე გამოიცა თქვენი თარგმნილი „ვაცის ნადიმი“, რომელიც არანაკლებ მწვევა თემის თვალსაზრისით...

— დაიხ, ის გაცილებით ადრე ჩავიდა დომინიკის რესპუბლიკაში, აგროვებდა ცნობებს, ეცნობოდა ისტორიულ მასალას...




დიქტატორები ხომ არ აკლდათ? მწერალმა დაინახა, რომ ყველა ის თვისება თუ შტრიხი, რაც ცალკეულ დიქტატორს, მათ შექმნილ სისტემებს გამოარჩევდა და ახასიათებდა...

— როცა ჩვენ პირველი ინტერვიუსთვის შეხვდით, თქვენ თარგმნილი „ვაცის ნადიმი“ მასსოვს, მაშინ მითხარით, რომ რომანზე მუშაობა ემოციურადაც ძალიან მძიმე იყო...

— ამ ნიგნმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. დიდი ემოციური დატვირთვის მიუხედავად, რაც თარგმნის პროცესს ახლდა, ნიგნზე მუშაობის პერიოდი მაინც არაჩვეულებრივად მაგონდება...

— მიუხედავად იმისა, რომ როცა „ვაცის ნადიმი“ გამოიცა დიქტატორ ტრუხილოს რეჟიმი დიდი ხნის დასრულებული იყო...

— „ვაცის ნადიმის“ გამოცემისას ტრუხილოს ეპოქა უკვე ჩავლილი იყო, შესაბამისად, ნიგნის გამოსვლას დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია...



ინსტიტუციას დაუპირისპირდა. „ვაცის ნადიმი“ დასრულებულ ტირანიაზე დაწერილი წიგნია და როგორი ამალელებელიც უნდა ყოფილიყო საკუთარი ისტორიის გააზრება, ის საზოგადოებაში მაინც ჩავლილი ამბების გამოძახილი გახლდათ.

— ლიოსა არის თანამედროვე მწერლის არაჩვეულებრივი მაგალითი. ის ისტორიული მოვლენები და უამრავი მასალა, რომელიც მის გარშემო იყო და არის, როგორც მწერალმა საუკეთესოდ გამოიყენა, და იმ ავტორებისგან განსხვავებით, რომლებიც ამა თუ იმ თემას ან თავს დადამხდარ ამბებს ზოგჯერ თითქმის დაუმუშავებლად აწვდიან ხოლმე მკითხველს, ლიოსამ ისტორიული ამბები, ლათინოამერიკული სინამდვილე, კულტურული პროცესები, პირადი გამოცდილება, მწერლური წარმოსახვა — ყველაფერი, რაც მის გარშემო და მასში ხდებოდა — მაღალი დონის მხატვრულ ლიტერატურად გადააქცია.

— სწორედ ამიტომ არის ის უნივერსალური მწერალი, ამის გამო მიანიჭეს ნობელის პრემია. პირდაპირ აღნიშნეს, რომ ჯილდო გადაეცემოდა მხატვრული ოსტატობისთვის და ამავე დროს, ძალაუფლების სტრუქტურის განსაზღვრის, მისი მხილებისა და ისტორიული და ცხოვრებისეული ამბების ლიტერატურულ ტექსტებში ასახვისათვის. ეს არის მისი მთავარი დამსახურება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლიოსა მხოლოდ საკუთარ თავს არ წარმოადგენს, ის იმ თაობის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელია, რომელმაც ლათინოამერიკული ლიტერატურა გააცნო მსოფლიოს. ლიოსა იმ კულტურული მოვლენის, იმ დიდი ტალღის უკანასკნელი ცოცხალი წარმომადგენელია, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. შესაბამისად, მისი მნიშვნელობა მსოფლიო კულტურაში დღეს განუზომლად დიდია.

— თქვენ, როგორც მთარგმნელს, როდესმე გქონიათ მასთან კომუნიკაცია?

— რთულია მასთან უშუალო კონტაქტი. ლიოსა დღესაც ჩართულია შემოქმედებით საქმიანობაში. მწერალთან კომუნიკაცია, ძირითადად, მისი წარმომადგენლების საშუალებით არის შესაძლებელი. ლიოსას ყოველდღიური ცხოვრება მთლიანად წერის პროცესზეა აგებული. ჩვენ გავაგრძელებთ მის წიგნებზე მუშაობას და კიდევ გვაქვს დაგეგმილი რამდენიმე საპროგრამო რომანის თარგმნა.

— თქვენ ცხოვრობთ ესპანეთში, რომელიც, პრინციპში, მთელი ესპანურენოვანი კულტურის ცენტრია. მაინტერესებს, რამდენად ჰგავს ერთმანეთს ლიოსას შემოქმედებაში ასახული გარემო და ის სივრცე, რომელიც იქ თქვენ თვალწინაა.

— ლიოსა ესპანურენოვანი ავტორი და ესპანეთის მოქალაქეა, მაგრამ, მოგეხსენებათ, პერუელი მწერალია. თავის წიგნებში მაინც ლათინოამერიკულ გარემოს აღწერს, თუმცა, როგორც თავადვე თქვა სანობელო ლექციაში, ესპანეთი და ლათინური ამერიკა ერთი მთლიანობის ორი სახეა. ნობელის პრემიის დაჯილდოების ცერემონიაზე ძალიან საინტერესო სიტყვა წარმოთქვა, ბევრ მნიშვნელოვან

საკითხზე ისაუბრა, მათ შორის ლათინური ამერიკის პრობლემებზეც, გაიხსენა კონკრეტად რობერტო ბოლია, ჩვენი მხრიდან ესპანელებისადმი გამოთქმული საყვედური თვითკრიტიკა უნდა იყოს, რადგან მათი შთამომავლები ვართო. ეს ერთი დიდი სივრცეა, სააზროვნო სივრცე, რომელშიც ორი სამყაროა მოქცეული, ერთმანეთთან დაკავშირებული, თავიანთი ისტორიით, ენით, ისტორიული გამოცდილებით.

— მიუხედავად იმისა, რომ სხვა ესპანურენოვანი ავტორების, მათ შორის, ბორხესის, მარკესის ნაწარმოებებზე გემუშავიათ, თქვენზე მაინც ლიოსას მთარგმნელი უფრო ითქმის. ეს ავტორი თქვენი ცხოვრების ნაწილია და — მნიშვნელოვანი ფაქტორი თქვენი პროფესიული წარმატებისა. თქვენ და ლიოსა — ამაზე მითხრით ორიოდ სიტყვა.

— ჩემთვის ეს მწერალი მართლაც განსაკუთრებულია, ალბათ იმიტომ, რომ მის ნაწარმოებებზე ბევრი ვიმუშავე, სამი რომანი გამოვეცით. ყოველი შეხება მის ტექსტებთან ნამდვილი ლიტერატურით ტკბობაა. შეუდარებელი ოსტატია, რაც უფრო უღრმავდება მის შემოქმედებას, მით უკეთ ხედავ ლიოსასეული თხრობის მთელ მშვენიერებას. გარდა ამისა, თარგმანი ძალიან კარგად გასწავლის თვითონ რომანს, შიგნიდან გიჩვენებს მას. მიუხედავად იმისა, რომ ლიოსა პროზაიკოსი, რომანისტი — ის ძალიან პოეტურია. მისი ნაწარმოებების ბევრი ეპიზოდი პოეზიასავით იკითხება. მკაცრი, სასტიკი სინამდვილიდან, მძიმე თხრობიდან, უცებ, ისეთ პოეტურ პასაჟებზე გადადის, რომ აღმაფრენით გავსებას. ჩემთვის ლიოსას წიგნებზე მუშაობა არაჩვეულებრივი გამოცდილებაა და იმ განცდილი წუთებისთვის მისი უზომოდ მაღლიერი ვარ. თქვენ იცით, რომ ქართული ენა ნებისმიერი სახის უცხოური ტექსტისთვის ღიაა, მდიდარია. ლიოსას კეთილხმოვანებასაც, მგონია, რომ საუკეთესოდ გადმოსცემს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ლათინოამერიკული ლიტერატურა და ესპანურენოვანი ლიტერატურა, ჩვენთან, ჩვენს სულთან, ტემპერამენტთან, გამოცდილებასთან და სამყაროს ჩვენს ალქმასთან ძალიან ახლოსაა. ამიტომაც საქართველოში ძალიან უყვართ ეს ლიტერატურა და, მაგალითად, ბევრი შესანიშნავი მთარგმნელი მუშაობს, რომ ქართველმა მკითხველმა უფრო კარგად გაიცნოს ესპანურენოვანი მწერლები.

— თქვენ თუ მუშაობთ სხვა ავტორებზე?

— როგორც გითხარით, ლიოსას თარგმნას ვაგრძელებთ. თუმცა ჩემთვის, როგორც მთარგმნელისთვის, სხვა ავტორებზე მუშაობაც საინტერესოა. გამომცემლობას თანამედროვე ესპანური ლიტერატურის გამორჩეული ავტორების თარგმნა და გამოცემა აქვს გადაწყვეტილი. მკითხველისთვის ინტერესი უნდა იყოს, თუ რა ალელვებით თანამედროვე ესპანელ მწერლებს და როგორ წერენ ისინი. რამდენიმე ავტორი შევარჩიეთ და იმედა, მომავალ წელს ჩვენი წიგნის თარგმნის მათი ქართული თარგმანები შეემატება.

ესაუბრა თამარ ჟურული



დათა ბადალაშვილი

ზვიადა მუნჯი

იმ დღესაც ისე ვიყავი. მიწოდდა, სულ ღამე ყოფილიყო, რათა ჩემს თავსაც დავმალვოდი და გარშემომყოფებსაც. გული ძაფზე დამეკიდა ლოდინით სანამ დაღამდებოდა.

დაღამდა და გამოვედი გარეთ. თოვდა. არა, კი არ თოვდა, დიდ, თეთრ ნაფლეთებს ისროდა მაღლიდან ცა.

მოვდიოდი და ორღობის დასასრულს, დათოვლილი ქლიავეების იქით, რაღაც ზმუილის და ბრაგვანის ხმა მომესმა. გავიქეცი. ვიღაც კაცი პირქვე იყო ჩამოხრილი თოვლში, ძლივს წამოვყევი. ჩამოვბერტყე ზურგიდან და სახიდან ფიფქები. ზვიადა იყო მუნჯი, მთვრალი. მივანოდე არყის ბოთლი, რომელიც ნაქცევისას ჯიბიდან ამოვარდნოდა. აზმუვლდა სიხარულით. ვანიშნე, მე გაგაცილებ, ნავიდეთმეთქი. მომიჭირა მკლავზე მაგრად კომპის ხესავით დაჟარული ხელი, ეშინოდა, კიდევ არ ნაქცეულიყო. დავეშვიტ ქვევით, ზვიადას სახლისკენ. ყინვით და თოვლით მოსარეულ გზაზე ცოცხალი გვიცურავდა ორივეს ფეხი.

ადრე მუნჯი უმღვდელო საყდრის ყარაული იყო. ავიდოდა მარიაშობას უთენია, ჯერ სამჯერ შემოუფვიდა მწვანედ დახავსებულ კედლებს, აკოცებდა სანთელ-წამოღვენილებს, კუთხეებს, დარეკავდა ზარს და ბრუნდებოდა უკან. მერე მომლოცველების ჯერი დგებოდა. ბატკანს ყელს გამოჭრიდნენ და სისხლს კედელზე აშხეფებდნენ, შესანიშნავი ღმერთთან რომ მისვლოდათ. ბატკნის თავებს კი საყდრიდან აგორებდნენ. წენდნენ მერე ქარი და ძაღლები მატყლს მარიაშობის სწორამდე. მაშინ კი, როცა მე ხელჩაკიდებული მიმყავდა, უკვე მესაფლავე იყო. გაიგებდა ვინმეს სიკვდილს და აუნწყლიანდებოდა სიბრალულით თვალები. უთქმელად იღებდა ნიჩაბს და მიდიოდა საფლაფზე. სულ იცოდა, ვის მკვდარს როდის უნებდა წლისთავი ან ორმოცი.

მუნჯი რაღაცას მიყვებოდა გზადაგზა. ვერ გავიგე ვერაფერი, თავს კი ვუქნევდი. სხვის მკვდარს კი ჩიოდა მაგრამ, შეხედავდი და თვითონ იყო ცოცხლად სატირალი, გაბურძნული თმა-წვერითა და დიდი ტანსაცმლით.

ადრე ერთად გავთხარეთ მე და მუნჯმა საფლაფი. ბევრნი ვიყავით, ზოგს მკვდრის დარდი გვქონდა, ზოგს — ჩვენი მუცლის. მაშინ გავიგე, მუნჯს ენასთან ერთად ყურის სატიკივარიც რომ ჰქონდა. უფულოდ მუშაობდა და აგინებდნენ. ის კი იდგა ამოთხრილი მიწის გორაზე და ჩამოტეხილი ტოტივით ეკიდა ხელები.

დედის სიკვდილის შემდეგ მამამისს ქალაქში წაუყვანია სკოლაში, მაგრამ გამოსტირებია უკან. ვერ დარჩა მარტო უქომავოდ დიდ ქალაქში, შეეშინდა.

თანაც, ვისაც უყვარდა, ენის გარეშეც ესმოდა მისი. მე კი იმ ღამით მჯეროდა, თუ ხელი გამეშვებოდა და ყინულზე წამექცეოდა, სწორედ მაშინ დაყრუვდებოდა და დამუხჯდებოდა ზვიადა.

შევისვენეთ. ტომარასავით ჩამოცმული კოსტუმიდან ჩემი ნაპოვნი არყის ბოთლი ამოიღო და მომანოდა. მოვსვი. ისევ რაღაცას მიყვებოდა ხელების ქნევით.

ადრე ზვიადა სცემეს. ერთი მოხუცის დამარხვის შემდეგ რძალს უნახავს სიზმარში. „წყალში ვდგავარ, თან ბავშვები მანუხებენო“. ამოუთხრიათ უკან ათი დღის დამარხული მკვდარი და მისი საფლაფის ქვეშ პატარა ბავშვის ძვლები უნახავთ. მერე კი ჭირისუფლებმა ზვიადა სცემეს, ვერ დაინახე თუ ძალით დაიბრმავე თვალიო.

გამახსენდა, როგორ ამბობდნენ, ზვიადა მესანთლე ქალთან დადისო. არ ვიცი მე, თანაც არ უნდა არჩიო კაცმა იმის ავკარგი, ვისაც ეხმარები, კარგად გაიაროს. დაღმართზე ძლივს შევიკავე თავი, რომ არ ნავქცეულიყავი. წყაროსთან ნაცნობი მეცხვარე შეგვხვდა. შევისვენეთ და მოვუყევი ჩემი გასაჭირი — ცხვარი არ აწოვებდა თავის ბატკანს, გული ქონდა მასზე აყრილი. რახან დედამისს არ უნდოდა, სხვა ცხვრებიც სცემდნენ. ცდილობდნენ, რქებით წყლის სათლში ჩაეგდოთ. „ცხვარს ფეხი დაუბი, მშიერ შვილს რომ არ გაექცეს და ადრე თუ გვიან მოანოვებს,“ — მომიგდო მეცხვარემ. მერე ზვიადას მიუბრუნდა და ჩემს გასაგონად უთხრა: „როგორ იყო, საკირი ხევთან ლოლოვ-ნელების ვირს რომ უბერავდი?“ იცინოდნენ ისიც და მუნჯიც. მე კი იმაზე ვფიქრობდი, დედისთვის შვილის სიყვარული თოკით როგავ მეწნავლებინა.

კიდევ იმაზე ვფიქრობდი, ზვიადას საქმე რომ არ ელეოდა...

გაზაფხული კიდევ ხო, გამოაჭყიტებდნენ აყვავებული ტყემლები სასაფლაოს გორიდან. წითლად დაბრანული ტყემალი ტეპილია, პირში გიდნება, ყვითელ-მუყავე, არც უნდა სცადო მისი დაღეჭვა, დაგჯლანავს. მოშიებულზე კურკინად უნდა გადაყლაპო.

ზაფხულში მზე ყვითლად ჩაკლავდა მწვანე ბალახს, გაიხედავდი სასაფლაოზე და არაფერზე წაგივიდოდა თვალი. ხალხს კი მაინც იქით მიუწევს გული. მიდიან და მიდიან, დაბარებულები არიან.

მივიყვანე სახლამდე. გინახავს შენ ატირებული მუნჯი? ვხედავდი, ცხელ ნაკვერჩხლებად სცვიოდა თვალებიდან ცრემლი.

მე აღმა წამოვედი. ვაჭრაჭუნები ფეხით ახალ თოვლს, ცა ისევ დიდ, თეთრ ნაფლეთებს ისროდა მაღლიდან. მაშინ კი გავიფიქრე, რომ არც ისე წყალნაღებული ვიყავი და ცოტა გულზე მომეშვა...

სუდი
გოგოს
ოინები

აჩიო ვაგას ლიოსა

გაბრიელ გარსია
მარკესი

იხსოვრო,
რომ
მოკვდა



როდოლოფო უოლში

ეს კაცი



სამოქალაქო დაცვამ სახელი მკითხა და ნუსხას გადახედა. ბალის კარი შევალე. მადრიდის აზიზი მზე პარიზის წვიმას აჩოქებს, პრალის თოვლს კი ადნობს.

ყოველდღიურობისგან დაზაფრულმა მდივანმა მიმიღო.

ვიცი, დეტალებს უნდა დავაკვირდე, მაგრამ ხალხის ხის ჭერისა და მისაღები ოთახის წყვილია მტკნარ ვერაფერს ვხედავ. ნიაღვი უფროსი ჩნდება. როგორც ჩანს, მელოდა.

კვლავაც მაღალი და ურღვევია. ოდნავ იხრება ხელის ჩამოსართმევად.

— თქვენ გელოდით, — მეუბნება, — დიდი სურვილი მქონდა თქვენი გაცნობისა.

ყველაფერი ნათელი და მონესრიგებულია მის კაბინეტში: ნიგნები თაროებზე, ცხენზე ამხედრებული მარტინ ფიერო, არგენტინის ალაში, იოანე XXIII სანერი მაგიდის მინის ქვეშ.

სავარძელში მოთავსებისას პირველად ვამჩნევ დროის ნაკვალევს მის სახეზე, ნათელი კაპილარების თქვეშ, ეს ფოტოებზე არ მოჩანს ხოლმე ანდა ფოტოები ყველაფერს ივიწყებენ.

— ყავა თუ კონიაკი? — მეკითხება.

მთავაზობს „უინსტონს“, წინ იხრება ოქროს სანთებლით ცეცხლის მოსაკიდებლად.

იქნებ რომელიმე აეროპორტის სავარძელზე შემოვრჩი ჩაბინებული, ღამის უთვლელ განრიგში ჩაფლული და ეს სიზმარი დრომოჭმული ხუმრობაა. მაგრამ მოხუცი აქაა, ვხედავ მის თეთრ პიჯაკს, წითელ სვიტერს, სახეზე განლაგებულ შევსებულ იდეებს, მესმის მსოფლიოზე მოსაუბრე დამაჯერებელი ხმა, მისი წრიული გრანდიოზული მოძრაობები, მისი უცვლელი კანონები.

— იმპერიებს ვერავინ ანგრევს. ისინი თავად ლპებიან შიგნიდან, თავისთავადობით ეცემიან, — თქვა მან.

თავისთავადობამ დამაფიქრა. და, როგორც ჩანს, მიმიხვდა.

— როდესაც მათ ვილაც უბიძგებს, — დასძინა, — ამ კონტინენტზე სწორედ მათ ვენინალმდეგობოდი, ხელის ერთი მოქცევით სიშორეს ვამსხვრევდი, ვბრუნდებოდი ან საერთოდ არ მივდიოდი, ამ მინაზე ვიყავი მიჯაჭვული. აღარაა ეს ის მინა. აღარც ის გოგონაა, რომელიც დაბრუნებულს კონიაკს და ყავას შემოგთავაზებს. ყავა კოფინის გარეშე მეტად ჯანსაღი რამაა. შეხედე ერთი ვიეტნამს.

შეხედე ვიეტნამს: გარემომცველი ღიმილი, ღამეული გავსებები ნესტიან ტყეში, ჰაუბიციებით დაზვინული მშობლიური ზურგი, ჰუეს თავზე უწყვეტ წვიმებში მოფრიალე ნითელი დროშა.

— სულელია ის, ვინც ისტორიას არ კითხულობს. ჰგონიათ, გამარჯვება ომით მიიღწევა.

ხელის მეორე მოძრაობამ ასაკი, ერები, შეღახული ღირსება გამიჯნა. რომი ეცემა მესხიერების სარკეში და თითქოს მოხუცი სიამოვნებას განიცდის.

— ელექტროგადამცემი სადენები, ეს ხომ იუნკერმაც იცის.

სვამს თავის უკოფეინო ყავას.

— აღარ გყავთ მეგობარი ამ სამყაროში.

— ესენი თუ გადარჩებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ოკეანეები ჰყოფთ.

— თქვენ კი დაგამხეს.

— მე სინარქიამ დამამხო. შემდეგ კი კვლავ მომაკითხეს და თანაც რამდენჯერ.

— და თქვენ?

მკითხა, ვიცოდი თუ არა მოთხრობა ერთ ბასკელზე. და მოვისმინე ამ ერთი ბასკელის შესახებ, ნათესავებით რომ ყოფილა გარემოცული და ანდერძზე ხელის მონერა არ სურდა.

მისი საჩვენებელი თითები ერთმანეთს ეხება, კითხვას ამზადებს, პაუზაა.

უკვე აღარ ვიცი, რომელია ჩემი ღიმილი და რომელიც — მისი, ან პაპი იოანესი, ქრომირებული ჩარჩოდან. მაჯისცემა წრიულია. იკუმშება და ყურადღებას მაკრებინებს.

მოხუცმა მინაზე თამბაქოს მოვარაყებული შეკვრიდან ერთი სიგარა ამოიღო, თითებს შორის დაატრიალა და შორეული სურნელი შეისუნთქა.

— ფიდელი მიგზავნის. რა ხდება იქით?

— მუდამ თქვენ გკითხულობენ.

ასეცაა: მუდამ კითხულობენ მის შესახებ.

— თქვენ ჩასვლას ელიან, — ვეუბნები.

— სიამოვნებით წავიდოდი, — ჩაიჩურჩულა, — ჯერ დრო არ დამდგარა. თქვენ ხომ იცით, სხვა ქალაქზე უნდა გავიარო.

მაგიდაზე ხელუხლებლად დევს გაზეთი — მთელი თავისი მინისძვრებით, გემების ჩაძირვით, ოქროს ციებ-ცხელებით, „იბერიის“ ახალი რეკორდით: პირდაპირი რეისი, ექვსი საათი და ოცდათორმეტი წუთი. მოხუცის ხელს ვერ ვხედავ. ალბათ, მარჯვენა საჩვენებელ თითს მარცხენაზე ატრიალებს, იმ ცნობილი ხუმრობის მსგავსად, ყველა ასე რომ ვაფასებთ.

წრე გაიზარდა. ნაპირები და ტყე ფართოვდება. ახლა გარდაცვლილებზე ვსაუბრობთ.

მოხუცმა თამბაქო შეინახა. გადმოიღო ავტოგრაფების წიგნი. დანინაურებული მონინალმდეგე — მოკლე ხელწერაა. ახალთახალი სიკვდილის ფერფლი კი ათასობით ქალაქს ეფინება. სამზარეულოში, საძინებლებში გაშტერებული დაბორი-ალეებს, ქოთნის ბულიონს აგემოვნებს და ბიჭების ძვლებში ნებივრობს.

— წმინდა ცეცხლივით იყო, — თქვა მოხუცმა, — სამწუხაროა, ჩვენთვის არ გამოდგება.

სახე მოენისლა მწუხარებისგან, ვინ იცის, დაიბნა კიდეც.

— მას მიაჩნდა, რომ უნდა აჩქარებულყო.

— კი, ეს უკვე ვიცი.

— ეგონათ, ვიეტნამი დასრულდება და შემდეგი ჩვენ ვიქნებით. ამიტომ ჩქარობდნენ.

— ხანგრძლივი ომია, — დასძინა დარწმუნებით.

— და, თქვენ?

ისე შევხედე, თითქოს მე ვიყავი ასაკოვანი და მას კი განუზომელი მყოფადი ჰქონდა წინ.

ნეტავ თუ ისურვებდა ამას, დავინტერესდი.

კარი გაიღო. სიხარულის ნაპერწკალმა მოხუცის კაპილარებით დაძარღვული სახე გააცისკროვნა. შეჩერდა, ორ ფეხზე შემდგარი გაბურძნული ძალისკენ გაემართა. ვუმზერ ბედნიერების და სინაზის მოძრაობებს, შეკითხვები და შეხვედრა რომ ჩაგვიშალა.

— კიდევ ინებებთ ყავას? — მეკითხება. ჯიბიდან თითქოს ბაჭისასავით ამოხტა მორიგი ხუმრობა. ყოველთვის, როდესაც გენერალი როკა ბოლივიის ელჩს იღებდა, ორ სავარძელს ანთავსებდა. ერთს ელჩისთვის, მეორეს კი არაკეთილსინდისიერებისთვის.

— მე მას ვუთხარი, ეფრთხილა, არ მინდობოდა ამ ხალხს. მაგრამ, გვიან იყო. სწორედ მაშინ ბევრი ვიცადა.

იქნებ, უკვე თავიც მოვამბრუნე. იქნებ, ახლა საათსაც დახედავს. იქნებ, უმნიშვნელო შესავალს გამოყენებს ქალისთვის,

ატლანტიკა რომ გადალახა ფოტოზე მისი ავტოგრაფის მისაღებად. ქალწულებით და ორსახოვანი ხარებით გამოსახულ დარბაზებში დააყოვნა შორეული სიტყვების ნათელმა. დანაკარგის დაბრუნებაში მზადყოფი მენარმეები, მომავლის გზების სოციალიზებით დაკავებული მინათმფლობელები. ზეცური სამეფოს გადანაწილებაზე მზრუნავი სასულიერო პირები.

ამაზრუნად ფარფატებს უკანასკნელი გენერლის დაკავება უკოფეინო ყავის ფინჯებზე.

— კარგი ბიჭია, — დასძინა — ერთ ხუმრობას მოგიყვებით. დილის თერთმეტ საათზე რამდენიმე მენარმე ფანჯრიდან გადავიდა, — თან გაიღიმა, — ამერიკელი მენარმე გადავიდა ბრაზილიაში, სადაც ნავთობის შექმნა უნდოდა, იქიდან — ქუვეითში, სადაც ნავთობის გაყიდვა სურდა, შემდეგ — საბერძნეთში, საიდანაც ნავთობის გადაზიდვა სცადა. გაიჩარხა საქმე.

ნახევარი მოგება მას დარჩა. სხვებმა კი ჰკითხეს, და თქვენ რას გეთავაზობთ? როგორ თუ რას? გაუკვირდა მენარმეს.

ატლანტიკის ოკეანეს გთავაზობთო. ამ ბიჭსაც იგივე დაემართა. არმია გეთავაზობს იარაღს, ჩვენ ჩავდივართ ხალხს, და ეს ბიჭი რას ჩამოდის ფეშქაშად? სამშობლოს?

გაგვეცინა. შეუძლებელია, არ გაციონო, როდესაც უფროსი ხუმრობს. ეს კარგად ეხერხება. აღწევს, რომ რეალობასთან კავშირი ახალ, პირველზე უკეთეს ხუმრობად მოგვეჩვენოს.

აი, ახლა კი დახედა საათს. მივხვდი, რომ საუბარში გართულს საათები გამიტარებია მასთან, მსგავსად მამასთან გატარებული საუბრისა. გასვლისას „რკინის კარიბჭის“ რომელიმე გზას გავეყვები, საუთჰემპტონს, მარტინ გარსიას და თან გავიყოლებ ყველა პასუხგაუცემელ შეკითხვას.

— და, ეს ქალი, — ვეკითხები.

სახე გაუნაცრისფერდა, გაუქვავდა.

— ვფიქრობ, რომ ის დანვეს.

— არა, არ დაუნვათ, — გამოვიგონე, — საელჩოს ერთ ბაღში განისვენებს, მინაში ფეხზე მდგარი ქანდაკებაა. იქ წვიმს. იქ მუდამ წვიმს. და ვფიქრობ, იქ ლპება.

— ალბათ, — მიპასუხა და არასდროს ჰქონია ასეთი უცხო სახე, ერთ დღესაც ამას გავარკვევით.

— და, სხვა გარდაცვლილები? დახვრეტილები, ნანამები? — ვკითხე და მოვინდომე, მათზეც შევიტყო რამე.

ძველებური აღმზოთების სხივი სახეზე ღრუბლებს შორის ნაცყორცნი ელვასავით აუციმციმდა.

— ხალხი მოითხოვს მათ გამო პასუხს.

— როდის?

— ერთ დღესაც. ქუჩაში გამოვა, როგორც ეს 56-სა და 57-ში მოხდა.

— კი მაგრამ, ახლა რატომ არ გამოდის?

— იმიტომ, რომ ახლა მე არ მინდა ეს.

— და როდის, გენერალო, როდის?..

თარგმანია თეა სომასურიძე



ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მხარეთმცოდნეობის სამსახური

რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტი **თამარ ყურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
 9 772346 794004